

ქართული გზა



საქართველოს
შენიშნული
კავშირის
გაზეთი
№4 (300)

15 აპრილი -
15 მაისი 2023

ფასი 150 ლარი

გაეროს
თემატიკა

ლადო ასათიანი - 105



არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალბმაცვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას.

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება ვით მთვარეული
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.

ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

ბარდნალა

რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი,
ჩემი ხორგო და მარანი,
ჩემი ცეცხლი და ლადარი,
სახლის წინ ნაგრიგალარი,
გაფითრებული ჭადარი,
ჩემი კავი და სახნისი,
ჩემი თონე და ბელელი
და დედა, დიასახლისი,
ჯანღონე გაუტეხელი,
ჩემი პანია ქოთანისი,
დუღილით ნაქოთქოთარი!
რა კარგი იყო ბარდნალა,
როგორი სათაყვანები!
ვარდებიანი ბარდნარი
და გუმარეშის ყანები!
თოხი პირგამოპირული,
გაცივებული ბინული...
გახსოვს, ტყეები? ირიბად
ხეზე დაკრული თარჯები
ვერ დაივინყებ, ვინც გიყვარს,
შეყვარებული დარჩები

როგორ არ მინდა ...

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
პირს მარიდებენ ქალიშვილები!
შენ შეგრჩა ვაჟას ფილტვების დაღრღნა,
ჩემს წინააღმდეგ აღსდექი ახლა.
შენ ბოროტების გარეშე ვერ ძლებ,
შენ შეერკინე ანტიურ ბერძნებს,
შენ ჰიპოკრატემ ქლექი გინოდა
და მხოლოდ მაშინ შემინდი ცოტა.
შენ გადუქროლე რომის ქარვასლებს
და შეამფოთე რომაელები,
მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაჟებს
ამაოდ ცდილობ, რომ გაერევი!
შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა.
ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს.

სალალოზო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!“

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა
ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და
ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას
ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ
ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და
დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ
დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ
ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ
გავიციებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიტეება,
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
- შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმანვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი“.

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ატმის ხესავით აფეთქებული
და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო,
მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა,
ფართოდ გაშლილი და მოხატული
თამარ დედოფლის დარბაზივითა!

კრანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავროხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ
არ შეგხსნია?!

ეს სისხლი არის, თუ მართლა
ყაყაჩოების ცეცხლია?!
შავროხიანო ვაჟებო, ასე რამ
გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა
ჯურხაის ფარისა?!

სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა
კახის ხმალისა?!
იქნებ მე თვალი მატყუებ, ზეცა
მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და
მარქვით ომახიანად:

თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც
ახალი იარა,
მაშ, ეს ბებერი კრანისის რა ძალამ
ააბღლიალა?!

ჰეი, თქვენ, არაგველებო,
გაუმადლარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და
მუხლის მოდრეკა მომინდა.

ყაყაჩო

ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ყაყაჩო შემომხვდა
ლამაზი ქალის შუქითა.
შემომხვდა, შემომანათა,
ჩინჩხლები შემომაცარა,
ალუჩა-ტყეების შემოსვლა
და გაზაფხული მახარა
უცხო კაცად რომ შემეცნო,
შერცხვა და თავი დახარა;
შერცხვა და თავი დახარა,
სინითლემ გადაუარა,
ალბათ, იმაზე დაფიქრდა,
მოვეწონეო თუ არა?!



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4,5; 2023 №1,2,3)

16/VI-23/VI 92

მწერალთა კავშირში პროზის სექციის სხდომა გაიმართა.

ფარული კენჭისყრით პროზის სექციის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

გეგმა შევადგინე და ნანა კანდელაკს ჩავაბარე. მინდა ახალგაზრდა მწერლებს დავეხმარო, ჩრდილში მირჩენილთ მოვეფერო და გული გაუჟკეთო — ერთი სიტყვით, მწერლებს შრომა გაუზადვილო — თუ ღმერთმა დამაცალა.

მწერალთა კავშირი გამოცოცხლდა. ჩავატარეთ აკაკის — 150 წლისათვის იუბილე. ისე ჩატარდა, როგორც დღევანდელ საქართველოს შეფერვბოდა; მომჭირნედ (საზღვარგარეთელი სტუმრები ვერ მოვიწვიეთ), ცოტა ნაჩქარევად (დრო ცოტა გვქონდა), მაგრამ მაინც კარგად და სასიამოვნოდ.

ხალხი შიშით იჯდა ოპერის დარბაზში. ნუთუ მართლა იუბილესთვის მოვიცალეთ, ემანდ არ აგვაფეთქონო. აფეთქებაზე გამახსენდა: თავისი სახლის წინ მანქანა აუფეთქეს და მოკლეს „მხედრონის“ აქტიური წევრი თამაზ ყურაშვილი („ბუღა“).

ცხინვალთან უკვე რუსებმა (პირდაპირ რუსებმა არა, — ოსების ხელით) შემოგვიტყვეს ვერტმფრენებითა და ტანკებით.

შევარდნაძემ მსოფლიოს მიმართა — რუსების აგრესია დაიწყო და გვიშველეთო.

რუცკოიმ (რუსებს შევარდნაძე, მგონი, უკვე აშკარა მტრად მიაჩნიათ) შევარდნაძის განცხადებას ანტირუსული და ცინიკური უწოდა.

დამთავრდა რუსთან მელიაობის და კატა-თავგობანას თამაშის პერიოდი, დროა საგნებს თავისი სახელი დავარქვათ: დამპყრობელია — მორჩა და გათავდა.

დამპყრობლის, აგრესორის ჯარი კი უნდა გავიდე საქართველოდან. რატომ სდუმს დასავლეთი?

სად არიან ჩვენი მეგობრები ბეიკერი და გენშერი?

ისევ ის ხდება, რაც 1918-21 წლებში მოხდა. მსოფლიო თავს არ გამოიღებს და ისევ ჩავგვტოვებს რუსების პირში.

„ცისკრის“ რედაქტორად რედაქციამ წამოაყენა ზაურ კალანდია. მე მხარს ვუჭერ. კარგი, ნიჭიერი, ზრდილი ყმაწვილია.

24/VI-29/VI 92

ოცდაოთხ ივნისს, დილის ექვს საათზე, ჩემმა დამ — ნათელამ დამირეკა: ვილატებმა ტელევიზია და ტელეკანალი იღეს.

ვეცით რადიოს. ლაპარაკობდა ვალტერ შურლაია: შევარდნაძის და სიგუას ხუნტა დამხობილიაო. ვინც ახლა ჩვენს მხარეს გადმოვა, წარსულ

შეცდომებს ვაპატიებთო. მოდით, მოგროვდით ყველა ტელევიზიასთანო.

დაახლოებით 7 საათზე რადიომ ხმა გაკმინდა, სამაგიეროდ, შევარდნაძის რადიო ჩაირთო: სიმშვიდე შეინარჩუნეთო, ბანდიტები ალყაშემორტყმულნი არიან და მალე დავაპატიმრებთო.

ვერ დავმალავ. სახლიდან გასვლის სურვილი არ გამჩენია. ანგელოზებს ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავ, როგორმე უჩემოდაც აუვლენ-მეთქი ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში — იზა

აიშუარაზი რობორ ირწეოდა სომალი

ორჯონიკიძის და შევარდნაძის სახელმწიფო საბჭოს დაცვის დიდი წადილი არა მაქვს. იმასაც ვერ დავმალავ, რომ მეცოდებოდა მოტყუებული ხალხი და განსაკუთრებით ვალტერ შურლაია. მოსკოვში პრესკონფერენციების გამართავად რომ ვიყავით მწერლებში, ერთ ოთახში გვეძინა მე და შურლაია. ზრდილობით სავსე, კეთილშობილ ბიჭად დამამახსოვრდა — თანაც ფანატიკურად შეყვარებული ჩანდა ზვიადზე.

მოკლედ, პირველ საათზე გამაყრუებელი სროლა მიწყნარდა და გამოაცხადეს — ბანდიტები დავაპატიმრეთო. 5 კაცი მოკლეს, იქეთაქეთ. დაიღვინა ტელევიზიის შენობა, დააპატიმრეს სამოცამდე.

23-ში ღამით ნანა წითელაშვილის (ჟურნალისტი) მოწვევით აკაკი ძიძიგური, გიორგი ჭანტურია და მე ტელევიზიაში გახლდით, ჩანერა გვქონდა 12 საათზე, შუალამისას, ერთად გამოვედით. კარებში ორ მომცრო მილიციელს ვუთხარი კიდევ: ბიჭებო, ამაღამ ტელევიზიაზე თავდასხმა რომ მოხდეს, თქვენს იმედზე ვართ-მეთქი? გაიცინეს, არა, ბატონო რევაზ, სრული სიწყნარეაო. კარგი სიწყნარე ყოფილა: ზუსტად სამი საათის შემდეგ ტელევიზია აუღიათ.

რომ იტყვიან, ერთ ფეხზე გამოვასწარი.

იმავე დღეს, 24-ში მთელ საქართველოში მოხდა თავდასხმები. ზუგდიდში, ნალენჯიხაში, აბაშაში, ხობში, მარტვილში, სენაკში... აფხაზეთში თავს დაესხნენ შინაგან საქმეთა მინისტრს — ლომინაძეს. სცემეს და კაბინეტიდან გამოაგდეს.

იმავე დღეს შევარდნაძე დაგომისში გაფრინდა და ელცინს შეხვდა. მოლაპარაკება, როგორც გაზეთები იუწყებიან, საქართველოსთვის სასარგებლო იყო. არ მჯერა.

ვნახოთ, რა იქნება ხვალ.

30/VI-9/VII 92

4 ივლისს ნალენჯიხაში თავს დაესხნენ სკოლის შენობაში დაბანაკებულ „მხედრონს“. იქვე იყო ჯაბა იოსელიანი და, როგორც მერე გაირკვა, მწერალი ლაშა თაბუკაშვილიც.

ცხრა საათის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მხედრონელებს ტყვია-წამალი გაუთავდათ. ერთმანეთს შეჰფიცეს, ცოცხლად არ დანებდნენ „მტერს“ (ვაი, ასეთ საქართველოს!) და სწორედ მაშინ, როცა ყველა იმედი გადანურული იყო, საიდან-

ლაც გაჩნდა ქუთაისის ბატალიონი და მხედრონელები გადაარჩინა.

ოცამდე კაცია მოკლული და სამოცამდე დაჭრილი.

იმ საღამოსვე შევარდნაძემ ზვიადს ფაშისტი, ხოლო მის მომხრეებს ფაშისტები უწოდა (ესეც შენი ნერვებდანყობილი შევარდნაძე), იქვე განაცხადა, ზუგდიდთან გაძარცვეს მატარებელი და ძარცვაში 1500 კაცი მონაწილეობდაო. ეს კი მთელი სამეგრელოს ყაჩაღად გამოცხადებას ნიშნავს. იქნებ 1443 კაცი იყო? როგორ

აიშუარაზი რობორ ირწეოდა სომალი

შეიძლება ასე გაუჯავრდე მთელს სამეგრელოს?! არ მომწონს ეს ამბავი. არც ის მომწონს, ტელევიზიამ ყვარელში მხედრონის წევრის დასაფლავება რომ უჩვენა და ჟურნალისტი-მა კომენტარი გაუკეთა — მტერმა მოგიკლათ ეს შვილი, კახელებო.

რაო, კახეთს ვაქეზებთ სამეგრელოზე? არც ოსეთის და აფხაზეთის მიმართ ზედმეტად დამთმობი პოლიტიკა მომწონს.

ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე. იქნებ შევარდნაძე უფრო ღრმად და შორს ხედავს!

ალბათ...

10/VII-27/VII 92

ერთიმეორეზე უარესი ამბები ხდება: ნალენჯიხასთან ახლოს, თავს დაესხნენ მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის, სანდრო კაცხაძის, ავტომანქანას. მოკლეს ჩხორონყუს გამგებელი და სამი კაცი. მძღოლი, ექიმი, თვით სანდრო კაცხაძე გაიტაცეს. დღეს 27 ივლისია. სამიოდე დღის შემდეგ გამოაბრუნეს ექიმი და მძღოლი, თვით სანდრო კაცხაძე დაპატიმრებული ჰყავთ.

ამბობენ, ნალენჯიხის ტყეებში იმალებიანო. ზოგი იმასაც ამბობს, გროზნოში ზვიადთან ნაიყვანესო.

სამეგრელოში ისევ დაუმორჩილებლობაა, სძარცვავენ მატარებლებს, თავს ესხმიან ადგილობრივ ხელისუფლებას და მილიციას.

პროტესტის ნიშნად ნალენჯიხა მთლიანად დაიცალა. იქაური მცხოვრებნი ტყეს შეეხიზნენ.

შევარდნაძემ გადაწყვიტა, თავისი ამალით სამეგრელოში ჩავიდეს.

შემხვდა ვახტანგ გოგუაძე. ნუ ნახვალთ-მეთქი. იქ სისხლი ახლახან უსამართლოდ დაიღვარა და არ მიგიღებენ. მე ვიცნობ მეგრელი კაცის ხასიათს-მეთქი. სამეგრელოს დარბევას თქვენ არ გაპატიებენ-მეთქი. გაეცინა, მე რა შუაში ვარო.

— არაო, ნასვლა აუცილებელიაო. შევარდნაძეს ისეთი მომწუსხველი საუბარი აქვს, ნახავ, მტერსაც კი მოაქცევს და მოაბრუნებსო.

ჩემი ვარაუდი გამართლდა.

ტელევიზორში ვხედავდი, როგორ ეძახდნენ შევარდნაძეს იუდას, მკვლელს და გარენარს. ესროდნენ ქვებს. იძულებული იყო, შეენწყვიტა ვიზიტი და უკან გამობრუნებულიყო.

ძალიან ცუდი ფაქტია. მთელმა საზღვარგარეთმა გაიგო.

ჯერ უნდა ჩასულიყვნენ სამეგრელოში თბილისში მცხოვრები მე-

გრელები. დალაპარაკებოდნენ მეზობელ-ნათესავებს. მერე მილიციას უნდა დაეჭირა ბანდიტები (თუ კი ასეთები არიან), მერე სამეგრელოს უნდა ეგრძნო ეკონომიური მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისგან და ამის შემდეგ უნდა ჩასულიყო შევარდნაძე. ასე რომ, ვიზიტი, როგორც ვინიანს-წარმეტყველე, მოუშადადებელი იყო და მარცხითაც დამთავრდა.

აფხაზეთის სესიამ (ქართველები არ ესწრებოდნენ) არძინბას მეთაურობით საქართველოსგან სრული გამოყოფა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შევარდნაძე ჯერჯერობით უძღურია, მას, როგორც ჩანს, არავითარი გავლენა არ აქვს არძინბაზე (ანუ შესაბამისად ელცინზე).

წავაგეთ სამაჩაბლოც. დერეფანი უნდა გაკეთებულიყო ჩრდილოეთ ოსეთსა და საქართველოს შორის და არა ცხინვალსა და საქართველოს შორის. ჩრდილოეთიდან ბრუნდებიან ოსი ლტოლვილები. ჩვენი იურისდიქცია ოსეთზე არ ვრცელდება. ეს კი, უკვე შევარდნაძის „გენიალური პოლიტიკის“ დამარცხებას ნიშნავს.

ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე.

მწერლობაშიც დამაბუღლობაა.

პრეზიდენტის სხდომაზე ჭაბუამ რუსეთის პენკლუბის წერილი წაიკითხა ქართული პენკლუბისადმი.

თამაზ ჭილაძემ — ეს ხომ ფაქტიურად მაღლა მდგომის მითითებებია დაბლა მდგომისადმიო.

ჭაბუა გაცეცხლდა. ერთმანეთს უშვერი სიტყვები ჰკადრეს.

ჭაბუამ — უნიჭო ხარო.

თამაზმა — ქურდი ხარ, „დათა თუთაშხია“ მოპარული გაქვსო.

ერთი სიტყვით, შედგნენ ერთმანეთს.

ჭაბუამ სხდომა დატოვა. თ. ჭილაძემ — თუ სამაგალითოდ არ დასჯით ხულიგნობისთვის ამირეჯიბს, მე მწერალთა კავშირიდან გავალო.

დავიშალეთ, რათა ერთი კვირის შემდეგ შევკრებილიყავით და გვემსჯელა ამ საკითხზე.

ჩემი რჩევა — რა ჩვენი სამსჯელოა, ორი კაცი ერთმანეთს შეეკამათა, რა გასახმაურებელია-მეთქი, ყურად არავინ იღო.

10/VII-5/VIII 92

31 ივლისს საქართველო ერთხმად მიიღეს „გაეროში“.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩათვალეს.

ამჯერად რუსეთმაც ხმა მოგვცა.

უეჭველია, „გაეროში“ ჩვენი მიღება შევარდნაძის ავტორიტეტმა განაპირობა, მაგრამ მე სიხარულთან ერთად შიშიც მიპყრობს.

რით „დააბა“ რუსეთი შევარდნაძემ? ხომ არ დაჰპირდა ელცინს სანაცვლოდ სამაჩაბლო და აფხაზეთი?

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ეჭვი გამართლდეს.

1 აგვისტოს მწერლები ჩარგალში გავემგზავრეთ პატარა ავტობუსით („რაფს“ ეძახიან):

რ. ჭეიშვილი, დ. მჭედლური, ტ. ჭანტურია, ი. ქემერტელიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ბენაშვილი, ე. ლლონტი, შ. ხოდაშენელი, მე და კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი.

ჩარგალში მზიანი დღეა. ბევრი ხალხი მოვიდა. გვიმასპინძლა სახლ-მუზეუმის დირექტორმა — ვაჟას შვილიშვილმა — ალექსი რაზიკაშვილმა.

რ. ქეიშვილი, დ. მჭედლოვმა და მე სიტყვები ვთქვით. ა. რაზიკაშვილმა აივანზე სუფრა გაგვიშალა. იქვე იყო ვაჟა ადამიაც.

გურამ ბენაშვილი შეზარხოშდა. მოვიდა, უსიტყვოდ გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: ვიცი, რაც... მაქვს შენთან ნაჭამი, მაგრამ უნდა მაპატიოო — ხუტას და მუხრანის მეთაურობით ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას გულისხმობდა.

ვერაფერი ვუთხარი. დღეს (5 აგვისტო) „განთიადში“ პაოლო იაშვილზე ავთ. ნიკოლეიშვილის წერილს ვკითხულობდი და ბევრი რამ მენიშნა ჩემი ბიოგრაფიიდან. პაოლოს, ლამის, მთელი მწერალთა კავშირი დაესხა თავს, მოლაღატე და ჯაშუში ხარო.

მახსოვს ჩემს წინააღმდეგ მუხრან მატყვარიანის და ხ. ბერულავას ბრძოლის კამპანია. ჯერ რედკოლეგიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება „ახკომში“, ხუტას და მუხრანის მეცადინეობით, უარყო გრიმა ჯულუხიძის გარდა რედკოლეგიის ყველა წევრმა — გ. გაჩეჩილაძემ, ე. კვიციანიშვილმა, გ. გვერდნითელმა, გ. ბენაშვილმა...

ტვიწნი სისხლი კინაღამ ჩამექცა. ნუთუ ასე ადვილად შეიძლება გაგყიდონ და უნამუსოდ იცრუონ-მეთქი შემნავე ძმაკაცებმა.

ამ „საქეტაკლის“ ბოლო წევრი — გ. ბენაშვილი ჩარგალში შემირიგდა.

რა ამაზრუნენი დღეები მქონდა. მუხრანი და ხუტა „კრიტიკიდან“ რომ მაგდებდნენ. პრეზიდუმის სხდომაზე მუხრანმა მოიწვია „კაგებეს“ აგენტი სამი მწერლუკა. უკვე გაშიფრული სუკის თანამშრომლები დარაზმა ჩემს წინააღმდეგ.

მარტო მაშინ კი არა, მერეც არაერთგზის გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ მუხრანმა ერთგული „სამეული“.

დრო ყველაფერს ჰკურნავს? არა მგონია.

ახლა ვერ მერევიან, თორემ ახლაც ბაღლაში აქვთ სულში. თ. ნივნივაძემ მითხრა, რა დაუშავე ორ „მეგობარ“ პოეტს — თავი მოიკლეს და „ლიტერატურულ გაზეთის“ რედკოლეგიაში შენი თავი არ შემაყვანინესო. რა მოტივით-მეთქი — ეგაო, ჭკუის სწავლებას დაგვიწყებო.

შური! როდის იყო ვინმეს ჭკუას ვარიგებდი. ჩემი ნაკლი ის არის, რომ პირში თქმა მიყვარს.

6/VIII-23/VIII 92
ზუგდიდში მოსალაპარაკებლად ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი გვენცაძე და მისი თანმხლები პირნი დააპატიმრეს.

14 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა დიდი სტატია სათაურით: „რა გადაარჩინეს საქართველოს?“ სხვათა შორის, ვწერდი ახალი ხელისუფლების ღირსებებზე და ნაკლებზეც.

14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული არმია კიტოვანის წინამძღოლობით აფხაზეთში შევიდა. გაიმართა ბრძოლები.

იხოცება ხალხი.

მე ტელევიზიით მხარი დავუჭირე ქართული ჯარის შესვლას საქართველოში (აფხაზეთში) და ვთქვი, კი არ უნდა შესულიყო, თავიდანვე იქ უნდა მდგარიყო-მეთქი. აფხაზეთი საქართველო

და ქართული ჯარი, აბა, სად უნდა იყოს-მეთქი.

გარენარმა არძინბამ (ორიოდე კვირის წინ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადა) უკანასკნელ ღონეს მიმართა, აგვიმხედრა გულუბრყვილო, უკულტურო და უნარსულო აფსუები. თვითონ გუდაუთაში გამაგრდა.

შევარდნაძე შიშმა შეიპყრო, რაკილა ელცინმა განაცხადა, მე კატეგორიულად მოვთხოვე შევარდნაძეს, მაგრამ არ გამოჰყავს ჯარებიო. ეს ნიშნავს, რომ რუსი კვლავ ვერაგობს, არ გვეხმარება ჩვენი ტერიტორიის დაცვაში, მაშინ, როცა ეს ფუნქცია მან იკისრა დაგომისის ხელშეკრულებით და თავისი წყეული ჯარები აქა ჰყავს.

ელცინის განცხადებით გულმოდემული ჩრდილოეთი კავკასია საქართველოს დასალაშქრავად ერთიანდება. „მთიელთა კონფედერაციაში“ შეკრიბა მოხალისეთა ლაშქარი და 23 აგვისტოდან საომარი მდგომარეობა გამოგვიცხადა.

ჩვენ კი ჯერ საყოველთაო მობილიზაციასაც არ ვაცხადებთ.

დავურეკე ვახტანგ გოგუაძეს: რას ელოდებით, სასწრაფოდ გამოაცხადეთ მობილიზაცია, მიმართეთ „გაეროს“, „ნატოს“ (ჯონი შალიკაშვილი), მოგვაშველონ ჯარები, თორემ რუსეთი ახლა უკვე ჩრდილოეთ კავკასიის ხელით ჩვენს დაპყრობას აპირებს-მეთქი.

ვეტყვი შენს აზრს შევარდნაძესო, დამპირდა.

უთხრა? ვინ იცის. შედეგი არ ჩანს.

24/VIII-26/VIII 92

25 აგვისტოს რადიოში გამოვედი და ვთქვი, რატომ ბოლომდე არ ვიციტ საქმის მიყვანა, რად ველოლიავებით არძინბას — მან ხომ ეს ომი წამოიწყო-მეთქი.

26-ში დილით ჩემმა ცოლმა ოდნავ გამოალო კარი და კარზე გამობმული მავთული შენიშნა. დავუძახეთ მილიციას.

მოვიდნენ. გამზადებული ხელყუმბარა აღმოჩნდა. თუ კარს ბოლომდე გამოვწვევდი, აფეთქდებოდა.

აი, ტერორიც! ეს ან კიტოვანის გაკეთებულია, ან აფხაზი ტერორისტების, არც ერთს არ ვეხატები გულზე.

მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს რაღას ერჩოდნენ? 26/VIII-2/IX 92

აფხაზეთში ომი დღითი დღე ფართო მასშტაბებს იძენს.

როგორც ჭრელი გველები, ისე გადმოდიან საქართველოს დასაპყრობად ჩრდილოეთკავკასიელი ბნელი, მუსლიმანური ტომები.

ილუპებიან ქართველი ბიჭები. ჩემი შვილი 31-ში დაბრუნდა გაგრიდან. ჰყვება, ათიოდე, რუსების მიერ მოწყალეობად მოგდებული, ძველი თუხთუხა ტანკი გვაქვს და სამ ჯარისკაცზე ერთი ავტომობილი.

დღეს, 1 სექტემბერს, 60 ცხედარი ჩამოასვენეს ანგელოზივით ქართველი ბიჭების.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი მსოფლიო ჩვენს მოსპობას ცდილობს.

15 აგვისტოს რუსებმა 1000 ავტომობილი „აჩუქეს“ აფხაზებს (გა-

მოაცხადეს, ნაგვართვესო?) ხოლო 31 აგვისტოს გუმისთასთან რუსებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. სულმა წასძლიათ ქართველთა დახოცვისკენ. აქამდე აფხაზ-ჩეჩენთა ზურგს ეფარებოდნენ, ახლა ვეღარ მოითმინეს და გვესროლეს.

შევარდნაძემ ელცინს პროტესტი განუცხადა. ელცინმა ახალგაშობილებულის სახე მიიღო, მე არაფერი ვიცოდით.

გუდაუთას ანი რაღას ავიღებთ. ხვალ ელცინთან შეხვედრას. რას დაავალებენ შევარდნაძეს? რით შეუკრავენ ჩვენს არმიას ხელ-ფეხს?

2/IX-26/X 92

ისე გავიდა თვე, რომ ქალაღს და კალაღს არ გავკარებდით.

დღედაღამ ენაგადმოგდებული დავრბივარ; საქართველოში სამამულო ომია და საომარი მდგომარეობა უნდა გამოცხადდეს, „ყველაფერი ფრონტისთვის“ — ეს ლოზუნგი ამოვიღოთ ძველი სტრატეგიული სკივრიდან-მეთქი.

ვინ გისმენს.

შევარდნაძე ყოველდღე ატარებს 5-საათიან სახელმწიფო საბჭოს სხდომებს უშედეგოდ — საბჭო, როგორც მოველოდი, მხოლოდ სალაყბოა და მეტი არაფერი.

ნერვიულობისგან კუჭის წყლული გამიმიზეზდა, მუხლის ანთებამაც შემომიტირა. ჯოხით დავდივარ.

ოქტომბრის პირველ დღეებში აფსუა-ჩეჩენებმა რუსის ჯარის უშუალო დახმარებით შემოგვიტიეს და გაგრა ნაგვართვეს. „ვრემიამ“ აჩვენა, რა ფართხაფურთხით გამორბოდნენ ჩვენი ბიჭები ახალი, რუსული, დისტანციური მართვის ტანკების დანახვისას.

მესამე დღეს ნაგვართვეს განთიადი და ლესელიძეც.

თითქმის დავმარცხდით. ჩვენი „გვარდია“ სოხუმისკენ გამოიქცა და აქ გამაგრდა.

ჯერჯერობით ჩეჩენები, რუსები და აფსუები სოხუმს არ უტევენ.

შევარდნაძე გაფითრებული, შემფოთებული ლაპარაკობს: რუსებმა (ელცინმა) მოგვატყუეს, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით ხელები შეგვიკრეს და აფხაზებს იარაღ-ცოცხალი ძალით დაეხმარნენო.

მე ვიცი, რომ ჩვენ აფსუა-ჩეჩენებთან კი არა, რუსებთან დავმარცხდით, მაგრამ დამარცხებულის სინდრომი საშინელი ყოფილა.

აღებულ ტერიტორიაზე მტრებმა ქართველთა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. სამასი ქართველი ერთბაშად დახვრიტეს სტადიონზე. აუპატიურებდნენ მცირეწლოვან გოგონებსაც კი. მთლიანად დახვრიტეს ქართველი ექიმები და ქართველი ავადმყოფები საავადმყოფოში. სასქესო ორგანოები დააჭრეს და ისე მოკლეს აფხაზ-კურორტის დირექტორი ბარამია.

აფხაზეთიდან გამოქცეულთა რიცხვმა 30 ათასს გადააჭარბა.

ჯერჯერობით ჩვენი თავზარდაცემული ჯარი სოხუმიდან ნაბიჯს ვერ დგამს წინ.

1 სექტემბერს რუსებმა 6 ტანკი დაგვიწვეს. 3 სექტემბერს შევარდნაძეს ეს ფაქტი არ უხსენებია.

11 ოქტომბერს პარლამენტის არჩევნები ჩატარდა. აირჩიეს შევარდნაძე თავმჯდომარედ.

არა და შევარდნაძის პოლიტიკამ აბოლუტური კრაზი განიცადა.

დავკარგეთ სამაჩაბლო (დაგომისის ხელშეკრულება).

დავკარგეთ აფხაზეთი (3 სექტემბრის მოსკოვის ხელშეკრულება).

უკან წავედით ეკონომიურად. ვერ ავლავამეთ ბანდიტები!

სად ჩანს შევარდნაძის დიდი სიბრძნე? ეს დავწერე ბორჯომის გაზეთში 10 ოქტომბერს.

ამის გამო: კვლავ გადამიკეტეს (ეს უკვე მერამდენედ) გზა რადიო-ტელევიზიისკენ.

არ გადასცეს 9 სექტემბერს ჩანანური ტელევიზიით (რ. ოსეფაიშვილმა ჩანანურა).

არ გადასცეს 22 ოქტომბერს ორი ჩანანური (ც. შანიძემ ჩანანურა).

ესეც თქვენი დემოკრატია.

ისეარმოვეკვებოდე, რომაფსუა-ჩეჩენი მკვლელების დარდი ჩამეყვს სამარეში, სხვისას არას დავეძებ.

ნუთუ გაგრას ველარასოდეს დავიბრუნებთ?

ერთი თვის წინ ჩვენი ჯარი გუდაუთას მიადგა და შევარდნაძე გაჭიჭინდა — არ შეხვიდეთო!

რაშია საქმე? 27/X-5/XI 92

მცხეთაში და ლამისყანაში დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეები გავმართეთ. ორივეგან სიტყვით გამოვედი, ორასი წლის დავით გურამიშვილი დღესაც გვაფრთხილებს — „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტი, — ყველა ჩვენი მტერია-მეთქი. გვაფრთხილებს — როგორც მამლები, ნუ დანიწნით ერთმანეთს-მეთქი.

3 ნოემბერს რუს-აფსუა-ჩეჩენთა გაერთიანებულმა ჯარმა სოხუმს შეუტია. რის ვაი-ვაგლახით მოიგერია ჩვენმა ჯარმა შეტევა, მაგრამ დავკარგეთ 35 კაცი და სამი ტანკი. ფაქტიურად რუსეთს ვებრძვით. 3 და 4/XI-ს რუსულმა თვითმფრინავებმა დაგვბომბეს სოხუმთან (ამის შესახებ გ. ხაინდრავამ განაცხადა), ჩვენი პარლამენტი კი უბრალო ნოტასაც არ უგზავნის რუსეთის მთავრობას.

რაშია საქმე?

ჯანრი კაშია მენვია უნივერსიტეტში. დიდხანს ვილაპარაკეთ. ოპტიმისტიცა. ასე და ასეა ჩვენი საქმე, რუსი გვლუპავს-მეთქი, სამაგიეროდო, მორალური გამარჯვება ჩვენს მხარეზეაო. ევროპის პრესა კარგს წერს ჩვენზეო.

ეს რა შეღავათია-მეთქი, რატომ გვეპყრობა-მეთქი ევროპა და ამერიკა ღარიბი ნათესავივით, რატომ ქმედითად არ გვეხმარება-მეთქი. დრო მოვა — დაგვეხმარებო.

როდის მოვა ეს დრო? სანამ პეტრე მოვიდოდეს, პავლეს ტყავს რომ გააძრობენ?

4-ში პარლამენტმა დაინყო მუშაობა. ისევე სატელევიზიო მეტიჩრობანი, პარტიული ამბიციები, სხდომის კულტურის დაბალი დონე.

6/XI-9-XI, 92

პარლამენტის პირველმა სხდომებმა ჩემზე ამაზრუნენი შთაბეჭდილება დატოვა.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა არადემოკრატიულობამ.

როცა სიგუას არჩევის საკითხი დადგა; ჯერ 7-ში უყარეს კენჭი და მერე 8-ში. 7-ში ელექტროგამომთვლელებზე ჩაფლავდა სიგუა, მაგრამ

8-ში ბიულეტენებით ხელმეორედ უყარეს კენჭი და აირჩიეს.

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა არჩევნების ისტორიაში.

აი, როგორი დემოკრატები ვართ. მე მგონი, ეს სპეციალურად გაკეთდა. ჯერ წყალში გადააგდეს სიგუა, მერე ამოიყვანეს, გადაარჩინეს. ამით აგრძნობინეს, პარლამენტის ყურმოჭრილი მონა იქნებით.

თუ ხვდება ამას სიგუა? 10/XI-16/XI, 92

აფხაზეთში დაილუპა ნუკრი ასლამაზაშვილი — ახალგაზრდა მხატვარი. გვარდიელი. ავღანეთის ომში ნაბრძოლი.

ულამაზესი, უჭკვიანესი ჭაბუკი იყო. ჩემთან მოვიდა და თავისი ნახატები მიჩვენა შარშან. მაშინვე ჩამოვატარე რედაქციები, რამდენიმე ნახატი „ღიმილში“ — დავუბეჭდე. ახლა სახლში მაქვს ჩემდამი მოძღვნილი მისი კარიკატურა - „გემრიელ კაცს — რევაზ მიშველაძეს“.

ცუდ ხასიათზე ყოფნა რას მიქვია, მკვდარი ვარ.

14-15-ში ვანში ვიყავით. გალაკტიონის იუბილე ჩავატარეთ. ნოდარ ტაბიძე არ იყო. ქუთაისიდანაც არც ერთი მწერალი არ ჩამოვიდა (?)

დღეს 16 ნოემბერია. გალაკტიონის იუბილეს ვატარებთ ოპერის თეატრში. გურამი გახსნის.

თუ მომცეს სიტყვა — მხოლოდ გალაკტიონის ცხოვრების პირად მაგალითზე ვილაპარაკებ. 17/XI-22/XI, 92

17 ნოემბერს ოპერაში გალაკტიონის ასი წლის იუბილე ჩავატარეთ. კარგად წარიმართა.

გ. ფანჯიკიძემ გახსნა. სიტყვები გრ. აბაშიძემ, რ. ჭიჭიშვილმა, მე, მ. ლებანიძემ და სხვებმა ვთქვი. შევარდნაძე ესწრებოდა.

ჩემს სიტყვაში, სხვათა შორის, აღვნიშნე, გალაკტიონმა ისიც გვასწავლა, რომ მწერალი ხელისუფლებას არ უნ და ჩაეხუტოს, ან რაც უფრო უარესია, თავი არ გაისაპნოს-მეთქი.

ბოლოს შევარდნაძე კულისებში ამოვიდა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და ღიმილით მითხრა: ბატონო რეზო, მართალია, გალაკტიონი მთავრობას არ ეხუტებოდა, მაგრამ პარტიაზე ბევრი ლექსი დაწერა.

ასეთი გადაკვრითი პოლემიკა პირველი არ არის ჩვენს შორის. ჩემს ყოველ ფრაზას მტკივნეულად განიცდის და ცდილობს, სამაგიერო გადამიხადოს.

მე ჩემი გზა მაქვს. 21 ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე ნოველა „საქართველო რუსის თვალთ“.

რუსი ისეა გაბითურებული, როგორც იმსახურებს. ირონია თვალში საცემია, ალბათ, ბევრს არ მოეწონებოდა ზევით.

ცუდად ვარ. კუჭის წყლული მანუხებს. ნათელას არ მინდა ვაგრძნობინო. 23/XI-27/XII, 92

მთავრდება ეს წელიც. სევდიანი, სისხლიანი, ტკივილიანი წელი.

ჩემს სამშობლოს „სისხლი და ცხედრები“ რომ უხვად მოუტანა.

შარშან ამ დროს ოპოზიცია თბილისს ანგრევდა გამსახურდიას დასამხობად.

ახლა? რა მოგვიგია შევარდნაძის ჩამოყვანით?

ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ისევ რუსის მონობაში საქართვე-

ლოს შებრუნების პოლიტიკაა და სხვა არაფერი.

„დაგომისის“ ხელშეკრულებით სამაჩაბლო დავკარგეთ. შეიძლება, სამშვიდობო ძალები ისევ ოსებისგან და რუსებისგან ყოფილიყო შედგენილი?

3 სექტემბრის ხელშეკრულებით აფხაზეთს ვკარგავთ.

ჩვენი შვილების სისხლი უმოწყალოდ იღვრება.

შიშშილი, ყაჩაღობა. უკან-უკან მივდივართ.

ვეყვ პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში (21 დეკემბერს ხორავას სახლში სალამო გავმართე, იქაც ვთქვი): ჩვენ რუსს ვერ მოვერევით, იქნებ სჯობდეს, გაეროს და ამერიკის არხებით ვიმოქმედოთ რუსეთის იმპერი-

აზე-მეთქი. ვის ესმის.

ამ განწყობილებით ვხვდები ახალ წელს.

28/XII 92-10/1 — 93 წ.

უგემურად შევხვდით ახალ წელს ქართველები.

უიმედობის, მეღანქოლის ტყვე ვარ.

წერა-კითხვის ხალისი არა მაქვს. ტელე-რადიო საშინლად მალიზიანებს ცეკვა-თამაშის და საახალწლო ღრეჯვა-იუმორის გახშირებით.

ახალი წლის ღამეს მთელი თბილისი ზანზარებდა, ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა.

თოფების, ავტომატების, ტყვიამფრქვევების ხმა ისე არეულიყო ერთმანეთში, გეგონებოდათ, ტყვიის წვიმა მოდის, ესაა ომი დაიწყო.

რა იყო ეს? პროტესტი ხელისუფლების უნიათობის მიმართ, თუ გაფრთხილება?

იქნებ ორივე ერთად? პარლამენტის „განცხადების“ გამო შევარდნაძე და ჩიკვაიძე ორი კვირაა თავიანთ ინტერვიუებში ბოდიშს უხდიან რუსეთს.

გუშინწინ რუსებმა სოხუმი მეათე-ჯერ რომ დაბომბეს, შევარდნაძე იძულებული გახდა „გაეროსთვის“ წერილი გაეგზავნა — სამშვიდობო ჯარები შემოიყვანე, მეორე ხელით კი გოცირიძე (ვიცე-პრემიერი) აფრინა მოსკოვს — სამანეთო ზონაში ვრჩებით, თქვენი ძმა ვართო.

ასეთია შევარდნაძის „პოლიტიკა“. რა ჰქნას. ორ ცეცხლშუა.

სამანეთო ზონაში დარჩენა ხომ სნგ-ში შესვლას ნიშნავს.

კიტოვანი ამკარად გადაუდგა შევარდნაძეს.

„იბერია სპექტრში“ ინტერვიუ დაბეჭდა: ჩვენ ძალაუფლება იმიტომ გადავეცით შევარდნაძეს, ჩვენზე გამოცდილი და სახელმწიფოს მართვაში ჩახედული გვეგონა, ეს კი პირიქით იქცევა, ქვეყანა დალუპვამდე მიიყვანა.

ერთი სიტყვით, მთავრობაში განხეთქილება დაიწყო. შევარდნაძის „მე-სიობის“ იმედი საპნის ბუშტივით გაქრა.

ხალხში უიმედობამ დაისადგურა. მთავარია, სიმართლეს ამბობდეს მწერლობა — ეს მოუსყიდველი რაზმი, კარიერის კიბეს რომ არ ებლოტიანება და ხელისუფლებისგან მხოლოდ ერის სწორად გაძლოლას მოითხოვს.

ზუგდიდში ორი კვირაა გრძელდება მჯდომარე აქცია მოთხოვნით — შევარდნაძე გადადგეს! უკვე სტუდენტებიც შეუერთდნენ.

26 ნოემბერს სტუდენტურმა ორგანიზაციებმა შევარდნაძეს გაფრთხ-

ილების წერილი მისწერეს; რადიკალურად შეცვალე რუსებისადმი და აფსუებისადმი შენი კომპრომისული პოლიტიკა, თორემ სტუდენტობა ერის მოლაღატედ გამოგაცხადებთო.

ტელევიზიით პასუხი გასცა. ზოგი სტუდენტი ინფორმირებული არ არისო. სოხუმს ყოველდღე ბომბავენ.

ილუპებთან ჩვენი ულამაზესი ბიჭები. ხსნა არსით არის.

საახალწლო მილოცვაშიც („საქ. რესპუბლიკა“, 1 იანვარი) ეს განწყობილება გამოვხატე.

11/1-25/1 93

გაზეთები წერენ, რომ შარშან, 14 დეკემბერს, შევარდნაძის დავალებით ცქიტშიშვილმა გუდაუთაში ხელი მოაწერა შეთანხმებას აფხაზეთიდან ქართველთა ჯარების გამოყვანის შესახებ.

ამ საიდუმლო შეთანხმებამ გაჟონა. მაშინ ნადარეიშვილმა, ნათაძემ, წერეთელმა... განგაში ატყხეს და შევარდნაძემ განაცხადა: „მე არ ვიცოდი, სამხედროები რაღაცაზე შეთანხმებულან, თუ საქართველოს არ უნდა, ნუ შევასრულებთ“.

ახლაც: 6 თუ 7 იანვარს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე უთქვამს: — გამოვიყვანოთ ჩვენი ჯარი აფხაზეთიდან, თორემ რუსი დაგვსჯისო.

არძინბაო? სიგუას უკითხავს. არძინბა პოლიტიკური ფიგურაა და ჯერ-ჯერობით უნდა დარჩესო, უბრძანებია.

კიტოვანს და სიგუას პროტესტის ნიშნად სხდომა დაუტოვებიათ.

მე მითქვამს და თქვენი ნებააო, უთქვამს შევარდნაძეს. ეს ნათაძემ მითხრა.

მერე ირანში ნაბრძანდა ჩვენი მეთაური. ირანის შაჰმა პატივით მიიღო, მაგრამ არცერთ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერიათ.

რატომ ენდომება ირანს საქართველოს ეკონომიკური შევლა?

მოსკოვიდან ვინმე კოვალის ხელმძღვანელობით დელეგაცია ჩამოვიდა, „დიდი ხელშეკრულების“ III გადამწყვეტი რაუნდი უნდა შედგესო.

თბილისში ელცინსაც მოეღიანა. დავრბივარ აფხაზეთიდან ლტოლვილთა დასაბინავებლად — ჭირს.

23 იანვარს სერგი ჭლავია დაეკრძალეთ. ბევრი ვირბინეთ მე და ფანჯიკიძემ, სახელმწიფოს ხარჯზე დაკრძალვისთვის რომ მიგვეღწია.

„თამაშიდან გასული“ სერგი აღარავის ახსოვდა.

მთავრობა პანაშვიდზეც არ მოვიდა. სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები ვთქვი: გ. ფანჯიკიძემ, გრ. აბაშიძემ, გ. ციციშვილმა, მე, გ. გვერდნიტელმა და დ. მჭედლოურმა.

არძინბა თავისიანებმა მოკლესო. ტელევიზიამ გვითხრა. მეორე დღით არძინბა „თავისუფლებიდან“ მოგვესალმა.

26/1-30/1 93

ირაკლი წერეთლის და ნოდარ ნათაძის თაოსნობით 26 პარტია შეიკრიბა და დაადგინეს: 1. საქართველომ, როგორც ოკუპირებულმა ქვეყანამ, ხელი არ მოაწეროს არავითარ ხელშეკრულებას რუსეთთან, სანამ რუსის ჯარი არ გავა საქართველოდან. 2. უნდობლობა გამოცხადოს შევარდნაძის ამკარად პრორუსულ პოლიტიკას.

გაზეთები ლამის ერთხმად აკრიტიკებენ შევარდნაძეს.

გაზეთ „მიმოხილველში“ რამიშვილი მისეულ პორტრეტს ხატავს შევარდნაძისას.

უნივერსიტეტში შემომიარა მურმან ლებანიძემ (ნათესავზე მთხოვა,

აფხაზეთში იბრძვის და მიშუამდგომლე — მოსამზადებელიდან არ გამირიცხონო), დავჯექით ჩემს კაბინეტში და ორ საათზე მეტ ხანს ვისაუბრეთ საქართველოს უბედურ ბედზე.

წელიწადია, ლექსი არ დამინერიაო. ძალიან გულგატეხილი ვარო, ვისზე-მეთქი, ჩემს ხალხზეო...

გულგატეხილი შეიძლება იყო მთავრობაზე, შევარდნაძეზე, პარლამენტზე, მაგრამ ქართველ ხალხზე გული არ გაგიტყდეს, ჩვენ ბრწყინვალე ვართ-მეთქი. როგორ შეიძლება, პოეტს თავისი ერის იმედი არ ჰქონდეს-მეთქი.

შევარდნაძეზე ჩამოვარდა სიტყვა. მე მგონია, მოვტყუვდით, ედუარდი რუსის დავალებითაა ჩამოსული და ჩვენს თავისუფლებას დალუპავს-მეთქი.

რა ვიცი, არა მგონიაო, ედუარდი ამას არ იზამს თავის სახელს სანყევრად არ დაუგდებს შთამომავლობასო. მე მისი მჯერა და მხარს ვუჭერო.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ნოველები გამოვაქვეყნე აფხაზეთის ომზე. 31/1-21/II 93

8 თებერვლის „თბილისში“ გამოვაქვეყნე წერილი: „ვაი, რა მწარედ ვტყუვდებით!“ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

პირდაპირ ვთქვი; რა უბედურებაც გვჭირს, რუსეთისგან გვჭირს და ჩვენს დამპყრობელთან სამეგობრო ხელშეკრულება არ უნდა დავდოთ, მიუთმეტეს, კაბალურ სანყისებზე-მეთქი.

დავინუნე ხელშეკრულების პროექტის ზოგი მუხლი.

არაა კარგად ჩვენი საქმე. ვიცე-პრემიერი შახრაი ჩამოვიდა თბილისში. დაკეტილი კარის მიღმა ორი საათი ესაუბრა შევარდნაძეს.

სოხუმს ისევ ბომბავენ.

რუსმა ჯარი არ გაიყვანა აფხაზეთიდან, დაპირების მიუხედავად.

19 თებერვლის „ლიტ. გაზეთში“ ჩემს ნოველას — „ვერ მოვისვენებ“ თბილად გამოეხმაურა გიორგი ალავერდაშვილი.

21 თებერვალს ჩატარდა ეროვნული სათათბიროს II საგანგებო კონფერენცია. არც ერთი მწერალი არ ესწრებოდა ჩემს გარდა.

ირაკლი წერეთელმა კარგი მოხსენება გააკეთა.

გამოვიდნენ მ. ქურდიანი, რუსლან ღონდაძე, გურამ გოგბარიძე, თემურ ჟორჟოლიანი, ვაჟა ადამია, გია ხოშტარია, ნოდარ ნათაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, აკაკი ასათიანი.

წყველაზე კარგი ის იყო, რომ ერთმანეთის გვერდით ვიჯექით „ზვიადისტები“ და „არაზვიადისტები“. ეს უკვე კარგი ნიშანია.

ვილაც პროვოკატორმა დარბაზში ხელყუმბარა ააფეთქა.

ვიცოდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. შინაგანად მზად ვიყავი. „არ შეგეშინდეთ, კარებს ნუ მიაწყდებით, ერთმანეთს არ გადაუაროთ-მეთქი!“ — ვიღრიალე.

ყველანი შედგნენ. ზოგი დარბაზში შემობრუნდა.

კონფერენცია გაგრძელდა.

გამოვიდა მწერალ ნიკოლოზ კურტანდიძის საკმაოდ სტელტანიანი კრებული „სიყვარულის ბილიკები“.

წიგნს ამშვენებს ალექსანდრე მესხორაძის წინასიტყვაობა და მია ტყემალაძის, მაკა ქემაშვილის ბოლოსიტყვაობა.

წიგნი მხატვრულად გაუფორმებია ელ-გუჯა ჯოხაძეს.

ნიკოლოზ კურტანდიძის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი მკითხველისათვის. მკითხველებში ჯერ არ განელვებულა ინტერესი მისი ავტობიოგრაფიული, პოეტური თხზულებების ოთხტომეულის მიმართ და აი, მკითხველის თაროზე ავტორმა ახალი ყან-რულად მრავალფეროვანი კრებული დადო.

ვთავაზობთ ამონარიდებს ნიკოლოზ კურტანდიძის მეცხრე კრებულიდან და საგულისხ-მო ადგილებს წიგნს დართული წერილებიდან.

სასიქადულო ბაღი

„კაცი, რომელსაც არ ახსოვს საკუთარი წარსული, ჰგავს იმ ადამიანს, რომელმაც არ იცის, საიდან მოვიდა და საით მიდის!..“
წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

წარმოდგენილი წიგნი „სიყვარულის ბილიკები“ ნიკოლოზ კურტანდიძის რიგით მეცხრე წიგნია, თუ არ ჩავთვლით, ოთხ წიგნად გამოცემულ მის ბიოგრაფიულ რომანს „გზა ცხოვრებისა ღვთისგან კურთხეული“. ბატონი ნიკოს არაერთი წიგნის რედაქტორობა მომინია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში და მხნედ შემიძლია განვაცხადო, რომ ძალიან კარგად ვიცნობ მის პოეზიას. განსაკუთრებული გაკვირვება გამოიწვია ჩემში, როცა მითხრა, რომ ოთხტომეულის გამოცემას აპირებდა, მაგრამ რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა.

ბიოგრაფიული რომანი „გზა ცხოვრებისა ღვთისგან კურთხეული“ დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია. ოთხივე წიგნი, თითქოს, სხვადასხვა ყანრს განეკუთვნება, მაგრამ ერთ უწყვეტ სიმბოლურ მთლიანობას წარმოადგენს. როგორც ბატონმა რევაზ მიშველაძემ თქვა: „ამ რომანის ყანრული თავისებურება შეიძლება „მემუარული პოეზიის“ ან „პოეტური მემუარების“ სახელწოდებით განისაზღვროს“-ო. დიას, ვეთანხმები, რადგან პოეტმა ნიკოლოზ კურტანდიძემ საკუთარი პოეზია პროზასთან ერთად, აამრავალბ-მოვანა. შეიძლება ამ წიგნში რამოდენიმეჯერ განვმეორდე, რაც ადრე მითქვამს, არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დარწმუნებით დავამტკიცოთ შემდეგი: „დოკუმენტურ პროზაში მწერლის წარმოსახვა ფართოდ ვერ შლის ფრთებს, რადგან სიზუსტე მოეთხოვება და, რაც უფრო ბევრი რამაა ცნობილი მთავარ პერსონაჟზე, რაც უფრო ახლოსაა თანამედროვეობასთან, მით უფრო ეზღუდება მწერალს წარმოსახვა და ქრონიკის ჩარჩოებით იზღუდება. და აი, სწორედ აქ მოახერხა ბატონმა ნიკოლოზ კურტანდიძემ, რომ მწერლად დარჩენილიყო და ისტორიკოსად არ ქცეულიყო. ხშირად განასხვავებენ ხოლმე მწერალსა და ავტორს ერთმანეთისგან. და ვფიქრობ, ამ შემთხვევაში — ბატონმა ნიკოლოზმა, როგორც ავტორმა შესანიშნავად შეითავსა მწერლის სახელიც. აქ ბრწყინვალედ იმოქმედა მისმა, როგორც მწერლის წარმოსახვამ, შესანიშნავად მოაწესრიგა არშეთხზული ამბების გზები და ბილიკები...“ (ა.მ.)

აღსანიშნავია, რომ ბიოგრაფიულმა რომანმა უკვე ასახვა ჰპოვა ნიკოლოზ კურტანდიძის ახალ ბიოგრაფიულ პოე-მაში „სიყვარულის ბილიკები“. პოეტს პოეტურმა სულმა სძლია და წინაპართა

ისტორია, საკუთარი გვარისა და ოჯახის წარმომავლობა ლექსად ააჟღერა. აღნიშნული პოემა ლაღად იკითხება და თავისუფლად დავსერიწობ კურტანდიძეთა ისტორიულ წიაღებში. ხანდახან კი ინტერესს გულწყვეტა ანაცვლებს და ფიქრობ: რატომ მე არ ვიცი ასეთი სიზუსტით ჩემი წინაპრების შესახებ-თქო! მართლაც, შესაშური სიზუსტით, ქრონოლოგიით და ტოპონიმიკით აღწერო შორეული წარსული საკუთარი წინაპრებისა და შეუცდომლად გადმოსცე იგი, თან ლექსად, ძლიერ დასაფასებელი და სანაქებოა. რამდენ კურტანდიძეს გაახარებდა და გაამაყებდა, ლექსთა ლივლივში ჩაფლული მათი გვარის წარსული. და არა მარტო...

კითხულობთ სტრიქონებს და იმდენად ღრმად იძირებით იტორიულ ქარცეცხლსა და ორომტრიალში, რომ გრძნობთ, რომ თქვენც ავტორის ცხოვრებით „აღვიქვამთ სხვა ადამიანის ცხოვრებას ისე, თითქოს ეს ჩვენი ცხოვრება იყოს. ჩვენც მასთან ერთად ვმწყევსავთ ბატებს თუ ნახირს, დავდივართ ყანაში ჩაბნეული ხორბლის ასაკრეფად, ვიტანთ გაუსაძლის შიმშილს საღამომდე, ვეფერებით დიდ მზეს, ვოცნებობთ მომავალზე, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევთ დასახული მიზნისკენ და მოთმინებით, თავმდაბლობითა და მიზანსწრაფულობით მივიწვევთ მწვერვალისაკენ, სადაც დღეს უკვე ნათელი მომავალი ბრწყინავს და ხარობს.“ (ა.მ.)

წიგნში მეორე ნაწილი ეთმობა ასევე ბიოგრაფიულ მოთხრობას, რომელიც ეძღვნება ნიკოლოზ კურტანდიძის მამას ივლიანე კურტანდიძის სასახლო ცხოვრებას. ავტორს სათაურიც ზედმინებით სწორად შეურჩევია „კვალი ნათელი!“ სწორედ რომ ნათელი კვალი დატოვა ბატონმა ივლიანემ: ხუთი შვილი, 16 შვილიშვილი და 43 შვილთაშვილი; ზუსტად მრავალრიცხოვანი შთამომავლობაა სინათლე ცხოვრებისა, პირველ რიგში; თავად ივლიანე იყო მათი მავალითის მიმცემი ყველაფერში: პატროსნების, შრომისმოყვარეობის, სათნოების, პასუხისმგებლობის, ქველობის, სიყვარულის, კაცობის და ქეიფისაც კი. ივლიანემ საკმაოდ მძიმე გზა განვლო ცხოვრებისა; ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, გაჭირვება და სიხარული, მწუხარება და ბედნიერება, შიმშილი და წარმატება, უსახსრობა და სიამაყე, ომი და მშვიდობა, მარტოობა და თანადგომა. და ყოველივე ამას ის ღირსეულად იტანდა, მწუხარებას და გაჭირვებას ქედს არ უხრიდა და წარმატებებსა და გამარჯვებებს მშვიდად და მოთმინებით ხვდებოდა! ამიტომაც არის, რომ ხუთი ღირსეული ვაჟიკაცი აღუზარდა სამშობლოს.

წმიდა მღვდელმთავარმა ნიკოლოზ სერბმა (ველიმიროვიჩი) ბრძანა: „ერთი კურთხეული შვილისაგან მთელ სახლს ძალუძს კურთხევის მიღება და წარმატების მიღწევა ყველაფერშიო...“ და ეს სიტყვები თამამად შეიძლება ითქვას ხუთივე - შვილზე ცალცალკე, შვილებზეც და მთელ მოდგმაზე! და როცა აცოცხლებ საკუთარ წინაპარს, სხვა რა უნდა ვუწოდო მას, თუ არა — სასიქადულო ბაღიში?!

ბატონი ნიკოს „პოეზიის უმთავრესი ღირსება უბრალოებაა. უბრალოება, რომელსაც ვერანაირი მაღალღირებულ გრძნობა ვერ გადასწონის. ეს უბრალოება სწორედ ის უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ჩაჩუქურთმებულია სინმინდემი, სისპეტაკესა და ღვთისმოსაობაში“.

ბატონო ნიკო, მე კი სიყვარულითა და პატივისცემით გულწრფელად გეტყვით: „გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს!“

ალექსანდრე მესხორაძე

ასე ფიქრობენ ავერსელები...

ავერსში პირველი სამუშაო დღე 2005 წლის 12 ივნისს მქონდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის დღე მაშინ და ამ დროის განმავლობაშიც არ დაუკარგავს ფასი. სულ მემახსოვრება და ყოველთვის მადლობელი ვიქნები თხუთმეტი წლის წინ მოცემული შანსისთვის, გამონვდილი ხელისთვის და შემდეგ მიღებული იმ გამოცდილებისთვის, იმ დამოკიდებულებებისთვის, რასაც თქვენგან, თქვენი ოჯახისგან ვგრძნობ. ჩემს პატივისცემასაც, კიდევ ერთხელ, გიდასტურებთ.

მე გულწრფელად მიყვარს შექმნილი საქმე. სუბიექტურად და ობიექტურად ვგულშემატივრობ ამ კომპანიას. მინდა კიდევ უფრო მეტ გამონვევას გაუშკლავდეს და ყოველთვის ძლიერი და წარმატებული კომპანიის სიმბოლოდ მოიაზრებოდეს.

ამ დროის განმავლობაში, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრა, რომ ყოველთვის სიხარულით მოვდივარ სამსახურში. არის რალაცები რაც ძალიან მომწონს, შეიძლება რალაცას მე სხვანაირად ვხედავ, მაგრამ სიყვარულით და ხალისით ვინყებ ყოველ სამუშაო დღეს. მადლობა თქვენ ამისთვის. ეს თქვენი დამსახურებაა. თქვენ საუკეთესო ხელმძღვანელები ხართ. ავერსი ჩემთვის მხოლოდ სამსახური არ არის. ავერსი - ჩემი სახლია. ის დიდი ოჯახია, სადაც ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები ცხოვრობენ.

ძვირფასია ყველა ის ადამიანი ვინც მაგრძნობინა, რომ ავერსი სამსახურზე მეტია. ჩემი, ძალიან ბევრი დადებითი ემოცია უკავშირდება ავერსს. მადლობა თქვენ თხუთმეტწლიანი ბევრი დადებითი ემოციისთვის. მადლობა ყველა ნახალისებისთვის, დაუვიწყარი მოგზაურობებისთვის და მთავარი მადლობა ყოველდღიური სიმშვიდისთვის.

მე მიყვარს ავერსი. მინდა კიდევ მრავალი წელი ვიშრომო ამ კომპანიაში, მივიღო ახალი დავალებები...

პატივისცემით და ერთგულებით მაკა ქემაშვილი

ბავშვობის სახლი

„...ისე დაიჩვილა დედაჩემმა, გული დამეწვა. გულში იგივე დედა დავიფიციე, რომ გავიზრდებოდი, ისე კარგად ვისწავლიდი, ისე, რომ ბევრ ფულს ვიმოვიდი, ყველაზე კარგ სახლს ავაშენებდი და ამ პატარა, თეთრ ქალს გავახარებდი. დავსვამდი სახლში და არაფერს არ გავაკეთებინებდი, მამასაც არაფერს არ გავაკეთებინებდი, მაგრამ ჯერ გაზრდა შორს იყო. დედაჩემს აზრდაც არ მოსდიოდა მე რას ვფიქრობდი...“

„სახლი შეკეთდა, უკეთესი გახდა. სხვა, უკეთესიც ბევრი ავაშენეთ, მაგრამ მე ის მიყვარს, ჩემი ბავშვობის სახლი. ის სიყვარული ვერ წაშალა სხვა უფრო ლამაზმა ოთახებმა და სახლებმა. მაშინ 5 წლის ვიყავი“.

ეს ფრამენტები ბატონი ნიკოლოზ კურტანდიძის ავტობიოგრაფიული რომანიდანაა. ჰო, ბავშვობა, ბავშვობის უტკბილესი სახლი მუდამ თან დავყვებო, რადგან იქ მშობლებისაგან ჩაჩუქარი ჩაუქრობელი მზეა, რომელიც, სულის კუნჭულში სასოებით შენახული განსაკუთრებით ასხივოსნდება, ძალიან რომ გაგვიჭირდება. და თუ ბავშვობას შემოვიწინავთ, ბავშვურ სიკეთეს ვაზიემებთ, დიდ ბავშვებად დავრჩებით ასაკოვანებიც, სულიერ საზრდოს სხ-

ვებსაც უშურველად ვუწილადებთ და სულის საზრდო კი (ბატონ ნიკოლოზს და მის ოჯახს უხვად რომ აქვთ) ოი, რა დიდებული მონაპოვარია!..

გულაღაღად ვიტყვი, რომ ბატონი ნიკოლოზის წიგნებიდან ყველაზე მეტად მიყვარს ლექსების კრებული: „ტაძართან სული ამაღლდა.“ შესაძლოა იმიტომ, რომ მისი რედაქტორი მე ვარ. ვერ წარ-



მოიდგენთ, როგორი რუდუნებით ვეცნობოდი ლექსებს, რომელიც ამ კრებულში უნდა დაბეჭდილიყო. ვერც იმას წარმოიდგენთ, სწორედ ამ წიგნისათვის, როგორი სასოებით ხატავდა მხატვარი ელგუჯა ჯოხაძე მეოცნებე ბიჭს, ხელში მზის დაჭერა რომ სურდა... ჰო, ბატონი ელგუჯა ჯოხაძის ნახატები ამშვენებს ჩემი რედაქტორობით გამოცემულ წიგნს და ასევე ამშვენებს ოთხ კრებულს, რომელთა შესახებაც ამ წერილში ვწერ.

მადლობა, ბატონო ნიკოლოზ, რომ მხატვრის სახელი ჩრდილიდან გამოამზიანეთ (მჯერა, დადგება დრო, ბატონი ელგუჯა ჯოხაძის არაჩვეულებრივი შემოქმედება, როგორც საჭიროა, როგორც იმსახურებს, ისე შეფასდება და დაფასდება), მწამს, მისი ლამაზი სული როგორ გაიხარებდა, კიდევ ოთხ წიგნში რომ ამზიანდა მისი სულის ნაჟური...
წარმატებებს გისურვებთ, ბატონო ნიკოლოზ! ჩვენ ხომ სიტყვიერი ხელშეკრულება გვაქვს დადებული, რომ თქვენი საიუბილეო, ასწლოვანი თარიღი განსაკუთრებით ლამაზად უნდა აღვნიშნოთ თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ჰოდა, წერეთ, უამრავი წერეთ გულაღაღად, გულწრფელად, წერეთ ისე, სამშობლოს სურნელი ასდიოდეს ფურცლებს!...

მია ტყემალაძე
პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე

ნიკოლოზ კურტანდიძე

მხოლოდ სიყვარულს ამოვყვები ცაში ვარსკვლავად, უმთვარო ლამეს დავადგები თავზე გვირგვინად, მოვევლინები მწვანე ბალახს დილის ცვარ-ნამად, ჩემი ხალხისთვის დავიღვრები მუდმივ ღიმილად.



ომარ მარგველაშვილი

როდესაც ერეკლე მეფის სატახტო ქალაქში გრანდიოზული ინაუგურაცია გაუშვართეთ (ზეიმში ვინ გვაჯობებს) და სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელში დიდი ზარ-ზეიმით ჩავაბრძანეთ, რომელი ჩვენგანი იფიქრებდა, რომ იგი ჩვენ, მის ამომრჩევლებს და მხარდამჭერებს, ზურგს შეგვაქცევდა და დეგრადირებულ, მარგინალ ქვეყნის დამატკეველ ოპოზიციას ჩაეხუტებოდა.

მის ოდიოზურ გამოსვლას მმართველი პარტია გაოგნებული უსმენდა პარლამენტის დარბაზში, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი და ხელისუფლების სწორი კურსის მხარდამჭერი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი ტელეეკრანებიდან ადგილს ვერ პოულობდა.

ტრიბუნასთან მდგარ ქალბატონ სალომეს წარბიც არ შეუხრია, არც უხერხულად უგრძნია თავი, როდესაც ამტიციებდა, რომ თეთრი შავია და, პირიქით. სრულიად დამსახურებულად, თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრის (ამ გადაგვარებული ბრბოს) აღფრთოვანებული დადებითი შეფასებები და მილოცვებიც კი მიიღო.

ის არავისთან არ ათანხმებს, ისე დადის საზღვარგარეთის ქვეყნებში. არც ანგარიშვალდებულია ვინმეს წინაშე. ამიტომაც, მეორე დღესვე გაფრინდა ლიეტუაში.

მე ქალბატონ სალომეს ვიცნობ 1985 წლიდან, როდესაც იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში ნიუ-იორკიდან. მაშინ იგი გაეროს საფრანგეთის წარმომადგენლობაში მუშაობდა და ამ ორგანიზაციის გასვლით საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად გვეწვია, რომელიც პირველად და უკანასკნელად გაიმართა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, თბილისში. მაშინ მე, საქართველოს მთავრობის დავალებით, კონფერენციის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტს ვხელმძღვანელობდი. ღონისძიება ჩემს მიერ აშენებულ ქორწინებისა და რიტუალების სასახლეში უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ. მას შემდეგ ოცდათვრამეტი წელიწადი გავიდა. ამ პერიოდში ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა წარმატებული პოლიტიკური კარიერა გაიკეთა. მისი მეუღლე ჯანრი კაშია ახალგაზრდობიდანვე ჩემი მეგობარი იყო.

ამის გამო, პირადად ჩემთვის არამარტო გაუგებარი, არამედ გულსატკეპნიცაა ქალბატონი პრეზიდენტის მიერ ამ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში ჯანსაღი პოზიციის ასე მკვეთრად შეცვლა, ვინაიდან საქა-

რთველოს მთავრობას და მმართველ პარტიას სწორედ ახლა სჭირდებოდა მისი მხარდაჭერა და თანადგომა.

რაც შეეხება პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის უსაქციელობას, ის ერთი სიტყვით შეიძლება შეაფასო - ამაზრზენი. უტიფრობაა დედამისის გიული ალასანიას საქციელიც.

მიშა უბოროტესი დიქტატორი და სისხლიანი რეჟიმის ავტორია. მკვლელებისგან შემდგარმა მისმა უახლოესმა გარემოცვამ იგი საქართველოში არეულობის, სახელმწიფო გადატრიალების და ხელისუფლების შეცვლის მიზნით, სამარცხვინოდ შემოაპარა არაჟნის ფურგონით, რო-

ქართველად, იყავით ფხიზლად!

გორც განუბაჟებელი საქონელი.

საოცარია, რომ აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი განაგრძობს საქართველოს საშინაო საქმეებში უხემ ჩარევას. იგი სრულიად უწყინარი და ჩვენთვის აუცილებელი კანონის მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მან, თურმე, ჩვენზე უკეთესად იცის თუ რომელი კანონის მიღება სჭირდება ჩვენს ქვეყანას. გინდა თუ არა, ეს კანონი რუსულიაო.

სხვა ელჩები ჩუმად არიან, რაკილა იციან, დიპლომატიის ანა-ბანა, ელჩის უფლებამოვალეობანი. ელჩი, საერთოდ, პოლიტიკაში ღიად არ უნდა ერეოდეს.

ისევე ქალბატონ პრეზიდენტს დავუბრუნდეთ.

მისი პრეზიდენტობა საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც სასაცილო და გამაოგნებელი.

გვეგონა, ქართველ ემიგრანტთა მუხლებზე, პარიზში გაზრდილი სალომე, სხვაში თუ არაფერში, ქართული ეროვნული ფენომენისადმი ერთგულებაში მაინც დაემსგავსებოდა განამებულ ქართველ ემიგრანტებს, თუნდაც მის კეთილგონიერ მშობლებს.

თქვენც არ მომიკვდეთ. თუ რაიმე არ დაენახვება და არ გაეგონება, სწორედ ქართული ფენომენი გახლავთ.

ქართველ მწერალთა თხოვნაზე, იქნებ შალვა და ჭაბუა ამირეჯიბების ანდერძის შესრულებაში მაინც დაგვეხმარო და როგორმე დაუბრუნო მწერლებს გიჟი სააკაშვილის მიერ წართმეული სასახლეო, ყური მოიყრუა.

იქნებ ეროვნების დამადასტურებელი გრაფა მაინც დააბრუნო პირადობის დამადასტურებელ საბუთებშიო, ვთხოვეთ.

როგორც გურულები იტყვიან, პრეზიდენტმა თავი გაიაბდლა; რალად როს ეროვნებააო.

სამაგიეროდ, ამპარტავნობა ხშირად სძლევს და წამოპილილ-წამოჭარხლდება ხოლმე სახეზე, თუ საგანგებო ტახტზე არ მიუჩენენ ადგილს: ღმერთო კი მომკალი, ეს რა მაკადრეთ პრეზიდენტ ქალს, მე ამ სკამზე კი არა, ამ ტახტზევანზე დაჯდომა მეკუთვნისო.

ხანდახან ცისკრის ვარსკვლავივით გაქრება ხოლმე ჰორიზონტიდან „ჩვენი საყვარელი“ პრეზიდენტი. ვეძებთ დაფეთებულები, რა ხდება?! სახელმწიფოს მართვის საჭესთან რატომ არ დგას, ხომ შეიძლება ქვეყანა სწორ ხაზს აცდესო, შიშისგან გული გვისკდება.

და აი, სად იყო, სად არა, ქ-ნი სალომე უცხოეთში გამოჩნდება ფუფალასავით თავისი განუყრელი ქოლგით ხელში ხან მანჰეტენზეა, ხან მშობლიურ პარიზში და ხან წითელ ხალიჩაზე მიაბიჯებს ჩვენს ამშენებელ მიშელთან ერთად.

ხომ უნდა ჩაუტანოს ამბავი დასავლეთს; საქართველო ევროპული კურსის ერთგული აღარ არის, მაგრამ ორი სალომე (მე და სალომე სამადაშვილი) ჯერჯერობით მაგრად ვდგავართო.

ვაი, იმ საქართველოს, სალომე ზურაბიშვილის და სალომე სამადაშვილის შესაყვანი რომ გახდება ევროკავშირში. იმის მაგივრად, რომ თავს მმართველი ჯგუფის წევრად თვლიდეს, აბა, მოდით ერთად განვსაჯოთ, ერთად ავწონ-დავწონოთ, როგორ სჯობია ქვეყნისთვისო, სალომე ზურაბიშვილი ხელმძღვანელობასთან გაბუტული პატარძლის მდგომარეობაშია.

თუ ყოველდღე თავზე ხელი არ დაუსვი, ინდაურივით გაიფხორება, ქოშებს უკანა ჰყრის, მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო და მაშინვე თავის ოკეანისგალმელ პატრონებთან გაიქცევა, რათა დაასმინოს ისინი, ვინც გააპრეზიდენტა.

ახია მათზე. ახლა პრეზიდენტის პრინციპულობას არ იკითხავთ? თუ გახსოვთ, ქართველი ერის ნების სანინალმდეგოდ, უგულავა და რურუა რომ შეიწყალა, მაშინ განაცხადა: არ მინდოდა ამ საშიში დამნაშავეების შეწყალება, მაგრამ ჩემზე ზენოლა განახორციელესო.

ხედავთ, რა შეუვალი და ობიექტური ქალბატონია? კიდევ ერთი ძლიერი ზენოლა და იგი „მისდაუნებურად“ სააკაშვილ-გვარამიასაც გაათავისუფლებს. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში პრეზიდენტისადმი ზენოლა მორიგ „ზენოლად“ დარჩება და საქართველოს ხელისუფლება პრეზიდენტის ამ უგუნურ ნაბიჯს კანონის ფაცერს დაუხვედრებს.

როდესაც მინისტრობის პირველ წრეზე ნიჩაბზე დასვეს, იყვირა „ქაჯები მოდიანო“, მეორე წრეზე, გაპრეზიდენტებისას ხმა არ ამოუღია, როგორც ჩანს იმ პირველ წრეზე თავის თავს გულისხმობდა „ქაჯებში“.

მართალია, ეს „რუსული კანონი“ ამერიკასაც აქვს, მაგრამ მე, ამერიკის ელჩი კელი დეგნანი კატეგორიულად გიკრძალავთ ამ კანონის მიღებას. ყველა, ყველა და თქვენ მაინც არ უნდა მიიღოთ, რადგანაც თურმე ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ნერვები ეშლებაო.

აი, მისი ლოგიკა. არადა, ეს კანონი მოქმედებს არა მარტო რუსეთში, არამედ ავსტრალიაში, ისრაელში, კანადაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, აშშ-შიც. მხოლოდ ამ კანონით გახდება შესაძლებელი ქვეყანაში არალეგალურად შემოსული ფინანსების კონტროლი და გამჭვირვალობა. ეს მაშინ, როდესაც ფარულად ფინანსდებიან ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზი-



სალომე ზურაბიშვილი

ციური პარტიები და ტელეარხები, ექსტრემისტული და ტერორისტული დაჯგუფებები. მთელი ეს ხროვა, დასავლეთის შეუნიღბავი „მეხუთე კოლონა“ ღნავის, რომ შტურმით გაანთავისუფლებენ მიშას, რომელსაც ხელისუფლებისაგან სასათბურე პირობები აქვს შექმნილი. ისინი არ მალავენ, რომ ძალადობრივად შეცვლიან ხელისუფლებას. აი, ასეთ ბოროტ ძალებს უჭერენ მხარს ამერიკა და ევროსტრუქტურები.

ჩემი აზრით ასეთ ევროპასა და ნატოში შესვლა არანაირ სიკეთეს არ მოგვიტანს. უნდა დასრულდეს მათ წინაშე დამამცირებელი ხვეწნა-მუდარა და წლების განმავლობაში შეურაცხყოფელი ლოდინი მათ კართან.

შეამჩნევდით რა განრისხებული სახით იდგა ტრიბუნასთან ქალბატონი სალომე და გვმოძღვრავდა. მისი უხიავი გამომეტყველება სულ არ მოგაგონებდათ უსიმპატიურეს მამას, ლევან ზურაბიშვილს და ულამაზეს და უსათნოეს დედას, ზეინაბ კეიდიას ან პარიზში დაბადებულ და უკეთილშობილეს ოჯახში აღზრდილ ქალბატონს, რომელსაც მშობლიური ქვეყნის სიყვარული ასხივოსნებდა, პრეზიდენტი ვიოლა ფონ კრამერს მოგვაგონებდა. ის ამკარად უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ნორვეგიაში ნამყოფი ვარ საშობაოდ. მოვიხიბლე ამ მართლაც ულამაზესი ქვეყნით და მომხიბვლელი ნორვეგიელებით. მაგრამ იქ ასეთი უგუნური ორგანიზაცია თუ იარსებებდა ვერ წარმოვიდგენდი, რომელიც აჯილდოებს უმძიმესი დანაშაულებების ჩამდენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ჯალათს, ქვეყნის დამატკეველ, პრეზიდენტყოფილ, მიშა სააკაშვილს.

ქართველებო, სიფხიზლე და სიფრთხილე გვმართებს.

დაფიქრდეთ, იქნებ სჯობს შიდა პრობლემები ჩვენ თვითონ მოვაგვართო და უცხოელების კარნახითა და თითის ქნევით ქვეყნის მართვაზე უარი ვთქვათ. ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, პატიოსნად და თავდაუზოგავად ვიშრომოთ და ჩვენი მშვენიერი, სალოცავი საქართველო განვაავითაროთ.

ყველა რესურსი გვაქვს ამ მიზნით მისაღწევად, ერთიანობა და მონდომებაა საჭირო.

ომარ მარგველაშვილი
აკადემიკოსი

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ს ა მ დ ე ი ა ნ ი ის ტ ო რ ი ა

(ამ მძიმე ამბავს ლექციაზე ვყვებოდი ხოლმე, როცა ცვდილობდი რელიგიის კომპენსატორული, დადებითი, მანუალებელი და დამანყარებელი ფუნქცია ამეხსნა და მეჩვენებინა სტრუქტურები-სათვის.)

ეს სევდიანი ისტორია ნამდვილი ამბავია, რომელიც, სამწუხაროდ, ჩემს მეგობრებს, ჩემს თანაკურსელებს გადახდით თავს:

ჩემმა ორმა თანაკურსელმა მეოთხე კურსზე ერთმანეთი მოიხონა, შეიყვარა და შესანიშნავი ოჯახიც შექმნეს. მართლა კარგები იყვნენ, ლამაზები და ჭკვიანები. ქორწინების შედეგად ორი ვაჟიშვილი შეეძინათ. დიდი სიყვარულით და რუდუნებით ზრდიდნენ, არაფერს არ აკლებდნენ. ბიჭებმაც გაამართლეს, ფიზიკურადაც მშვენიერი იყვნენ და საკმარისი ნიჭითაც გამოირჩეოდნენ. სკოლა წარჩინებით დაამთავრეს და სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელეს. ხალხი ამ ოჯახს შენატროდა და მათ ბედნიერებას მიესალმებოდა. უბედურება მერე, უფრო გვიან, სრულიად მოულოდნელად დაატყდათ თავს.

არდადაგებზე, ზაფხულის ერთი მზიან, მცხუნვარე დღეს მეგობრები (ხუთნი იყვნენ) თბილისის ზღვაზე წავიდნენ გასაგრილებლად. ბოლომდე რეალურ სურათს, თუ რა მოხდა, წყალში დაიხრჩენენ თუ დენმა დაარტყათ, ვერაფერს ამბობს, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცით, რომ ხუთიდან სამი დაიღუპა, მათ შორის ძმები, ჩემი მეგობრების შვილები. აუნერელი, დიდი უბედურება დატრიალდა, რომელმაც მთელი თბილისი შეძრა.

ჩვენც, ამ წყვილის მეგობრებიც, თავზარდაცემული და გაოგნებულნი ვიყავით, არ ვიცოდით რა გვექნა, როგორ მოვექცეულიყავით, როგორ ამოვდგომოდით მათ მხარში ამ ენითუთქმელი, გაუგონარი უბედურების ჟამს.

პირველი, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა ალბათ ის იყო, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივსულიყავით მათთან. ამის გაკეთება კი ყველას გვიჭირდა, მოსალოდნელი მძიმე სურათის ნახვის გამო, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ამ გაჭირვების ჟამს აუცილებლად მათ გვერდით უნდა ვმდგარიყავით.

კურსელები სწრაფად შევიკრიბეთ. მეგობრების სახლთან მივედით. ერთხანს სახლის ეზოში შევეყვინდით, აშკარად გვემჩნეოდა, რომ ფეხს ვითრევდით, ბინაში შესვლას ვერ ვბედავდით, ერთმანეთს უმწეოდ შევეყურებდით, რადგან, არ ვიცოდით, იქ რომ შევიდოდით რა უნდა გვექნა, ნუგეშის დამაჯერებელი რა სიტყვებისათვის მოგვეყარა თავი. მართლაც, აბა, რა უნდა გვეთქვა. რითი გვენუგეშებინა, იმას ხომ ვერ ვეტიყოდით, რომ ეს დროებითი ამბავია და გაივლისო, ან არაუშავს, გამოსწორდებაო, შვილები გაგიცოცხლდებიანაო?!

ასეთ ყოყმანში, მძიმე და საცოდავ დღეში მყოფნი ვიდექით ერთხანს ეზოში. ჭირისუფლებს გაეგოთ ჩვენი მისვლა და ნათესავი ქალი გამოგეზავნათ - მოდიოთ, გვნახეთ გაუბედურებული მშობლებიო!..

შევედით, მაგრამ ვაი, ამ შესვლას. საზარელი სურათი დაგვხვდა: საგანგებოდ დაცლილ დიდ ოთახში მუხის ორი კუბო იდგა და შიგ ორი უღამაზესი ვაჟკაცი იწვა.

გული მოგვიკვდა. თვალი ვერ მოვწყვიტეთ და კიდევ უფრო დავიბენით. ვერ-

ცერთმა მეგობარმა ხმა ვერ ამოიღო. ვიდექით ასე დადუმებული, გაქვავებული და შეძრწუნებული. არ მახსოვს ეს ჩამოვარდნილი უხერხული, უმძიმესი სიჩუმე რამდენხანს გაგრძელდა.

ეს დაძაბული და აუტანელი მდგომარეობა მღვდელმა იხსნა, რომელიც ჩვენს შემდეგ მოსულიყო. სასულიერო პირი ტანად პატარა იყო, კაფანდარა, უცნაური, ჟღალი წვერით. სხვა შემთხვევაში მის შესახედაობაზე გაგვიცინებოდათ კიდევ, მაგრამ როგორი მგრძობიარე და მჭერმეტყველი აღმოჩნდა...მან ის შესძლო, რაც ვერცერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოახერხა...მართლა ნუგეში სცა გაუბედურებულ მშობლებს...

მოსვლისთანავე, მღვდელმა უმაღლესი დაღუპულთა მშობლები გვერდზე გაიხმო და ალაპარაკდა. ჩვენ მთლიანებით ვიდექით, მისი საუბარი მთლად კარგად არ გვესმოდა, მაგრამ ცალკეული სიტყვები და ზოგჯერ მთელი ფრაზებიც აღწევდა ჩვენამდე. რაღაც განსაკუთრებულს არაფერს ამბობდა, სიკვდილ-სიცოცხლეზე ელაპარაკებოდა, ადამიანთა დროებით და მარადიულ ყოფაზე, ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, სულის მარადიულობაზე, სასუფეველზე...

ჩემი მეგობრები ნაკლებად რელიგიური, არაეკლესიური ადამიანები იყვნენ, დიდად არ სჯეროდათ იმქვეყნიური ცხოვრების, მანამდე ასეთ წარმოდგენებს როგორც მშვენიერ ზღაპარს ისე აღიქვამდნენ, მაგრამ ახლა, უნდა გენახათ, თუ როგორი გულმოდგინებით, გაფაციცებით და იმედით უსმენდნენ მოძღვარის თითოეულ სიტყვას, მის ნუგეშს. მღვდელი კი, ამასობაში, გადავიდა ჭირისუფლის მოვალეობაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა ილოცონ მათ ნასულებისათვის, რა რიტუალები უნდა ჩაატარონ, როგორი პატივი უნდა მიაგონ გარდაცვალებულის ხსოვნას, როგორ უნდა იგლოვონ, საფლავს როგორ უნდა მოუარონ, როგორი პანაშვიდები უნდა გადაუხადონ...

უფრო გვიან, როცა ამ უმძიმესმა დრომ გადაიარა და მშობლები ოდნავ შეეგუენ მომხდარ უბედურებას, მაშინღა გამოტყდნენ, რომ ამ ტრაგედიის შემდეგ ორივეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავის მოკვლა, რადგანაც, რაც მათ უყვარდათ, რაც მათ ცხოვრებაში უმთავრესი და უძვირფასესი იყო ახლა მათ წინ ესვენა და ცხოვრებამაც აზრი დაკარგა. მხოლოდ მღვდლის ამ ქადაგებამ ოდნავ გამოაფხიზლა, გამოაცოცხლა და თავის მოვალეობაზე დააფიქრა ისინი. მხოლოდ ამის შემდეგ იპოვეს თავის თავში ძალა ცხოვრება გაეგრძელებინათ და თავისი მოვალეობანი შეესრულებინათ...

ბედისწერამ ბოლომდე არ განირა ეს ლამაზი, კეთილშობილი წყვილი და ერთგვარი ნუგეშიც გამოუგზავნა. ერთ-ერთ ძმას, მეგობარ გოგოსთან შვილი, მშვენიერი გოგო შესძენოდა. ეს რომ გარდაცვლილი ძმების მშობლებმა გაიგეს გაიხარეს, მონახეს ეს პატარა გოგონა და ახლა ის იქცა მათი ზრუნვის საგნად. რამდენადაც მე ვიცი ისინი მოესწრნენ ამ გოგოს გაბედნიერებას და მის შვილებსაც...

მ ს ს ვ ი რ ა ლ შ ე ნ ი რ ვ ა

(რელიგიურ დღესასწაულზე მსხვერპლად შეწირული პატარა მოზვერის მონოლოგი)

ჩემმა პატარა სხეულმა თქვენს უამრავ სურვილებს, ნატვრებს, ძველ ცოდვებსა თუ ახალ შეცოდებებს როგორ უნდა უშველოს?!

„უფალმა კი ბრძანა სულიერი არავინ მოკლათო, მაგრამ ესენი არავის ეპუებიან, ცხოველები უსულო ჰგონიათ, გარდასახვისა არა სჯერათ, ამიტომ პირუტყვებს ხოცავენ, კლავენ და ჭამენ. აქვთ ხორცის უთვალავი მალაზია და მათი მორაგებისათვის მეცნიერულად გამართული სასაკლაოებიც გამართეს!

აღმოსავლური რელიგიების წარმომადგენლების საყვედური ხორცისმჭამელი რელიგიების მიმდევრებს!“

„ამქვეყნად სულ რამდენიმე თვე ვიცხოვრე და ყველაფერი, რაც გადამხდა, კარგად მახსოვს, არაფერი დამვიწყნია.

დედის მუცლიდან რომ გამოვძვერი პირველი, რაც მახსოვს, ის იყო, რომ დედამ გამლოკა, იქვე მჯდომმა კაცმა თქვა, მოხვედრია, შეხედეთ როგორი ლამაზია, თანაც ნიკორაა, შუბლზე თეთრი ნიშანი აქვსო.

ფეხებზე ძლივს დავდექი, სულ მაკანკალებდა, თბილი საშოდან უცნობ და უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდი. რამდენჯერმე წაგებარცდი და წაიქეცი კიდევ, მაგრამ ჯიუტად ვცდილობდი ფეხზე დავმდგარიყავი. ცოტა ხანში ესეც მოვახერხე.

მერე, დედის ჯიქანს მივაგენი და გამალებით ძუძუს ნოვა დავინყე. ხსენი ძალიან, ძალიან გემრიელი იყო. ძუძუს ვწოვი და თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, ვცდილობდი გამეგო თუ სად მოვხვდი.

დედის მუცელში კარგი კი იყო, თბილოდა, მაგრამ ბნელოდა, აქ კი ყველაფერი გაკაშკაშებული იყო. ცისფერ ცაზე რაღაც მრგვალი ბურთი გორავდა და საოცარ სითბოს გამოსცემდა.

პირველ ხანებში მე და დედა სულ ერთად ვიყავით, არაფრის მეშინოდა. როცა მომშვიდებოდა თავს ავარტყამდი დედის ჯიქანს, დედა უმაღლესი მიხვდებოდა თუ რა მინდოდა, გაჩერდებოდა და აუნერელი სიამოვნებით ვწოვი ძუძუს.

მერე და მერე დედამ საძოვარზე დაიწყო სიარული. მე სახლში ღობეზე მიბმულს მტოვებდნენ. როცა დედა ძალიან მომენატრებოდა ჩემი პატარა ხმით გავბლავებდი იქით, საითაც ის მეგულეობდა და ისიც, საძოვრიდან უმაღლესი მეხმაურებდა: „ მალე მოვალ, მოითმინე, რძე შენთვის ხომ უნდა დაეაგროვო!“

მეც მოუთმენლად ველოდი. საცამოობით მართლაც მოდიოდა. მომიბუღებულზე ნეტარებით, ყლაპალებით ვყლაპავდი რძეს და ჩემზე ბედნიერი იმ ნუთში არავინ იყო.

თანდათან გავიზარდე, ღონეც მომეცა. ჩემს გვერდით მოსისინე ბატების, ადრე ძალიან რომ მეშინოდა, ახლა აღარ ვუფრთხობდი. მამალიც, ადრე რომ მეფხორებოდა და მაშინებდა შემეჩვია და აღარ მანუხებდა. მეც, ჩემი მხრივ, ვცდილობდი კრუსხისა და მისი პატარა წინილებისათვის ფეხი არ დამეგა.

დრო მიდიოდა, მალე ძუძუს მომაშორეს და თანდათან ბალახს მიმჩვიე. ესეც კარგი იყო, მაგრამ დედის რძეს ვერა სჯობდა. ზაფხული იყო და დედის მახლობლად დამაბამდნენ მინდორში. უზრუნველი დრო იყო. დედა ახლოს იყო და არავისი მეშინდა.

რამდენიმე თვის რომ შევსრულდი დედას მომაშორეს, თოკი ჩამაბეს და სადღაც სხვაგან, ვიღაც უცხო კაცის ეზოში დამაბეს. გამუდმებით ვტიროდი, ვბლაოდი, დედას ვუხმობდი, ძალიან მენატრებოდა, მაგრამ არავინ მპასუხობდა. ბევრჯერ დიდი, მდულარე ცრემლებითაც ვტირე. დედა ალბათ შორს იყო და ჩემი ხმა არ ესმოდა, თორემ აუცილებლად მოვიდოდა და მომეფერებოდა. უნუგეშოდ ვიყავი, ღამ-ღამობით კი მარტო დარჩენილს შიში მიპყრობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავინახე, რომ ჩემსკენ რამდენიმე მამაკაცი მოდიოდა, არ მომეწონენ, ძალიან ავი და ბორო-

ტი თვალები ჰქონდათ. რაღაცაზე გაბრაზებული ლაპარაკობდნენ, ხმამაღლა ყვიროდნენ და თან ჩემზე უთითებდნენ.

ძალიან შემეშინდა.

ამ კაცებმა ღობიდან ამხსნეს და თან გამიყოლეს. რომელიღაც, აქამდე ჩემთვის უცნობ, შორ, ფართო გზას დავადექით. დიდხანს ავდიოდით აღმართზე. იქ ადრე არასოდეს ვყოფილვარ. აღმართის შემდეგ დიდი, ჩვენს სახლზე ბევრად დიდი შენობა დავინახე. ზარები ეკიდა, რომლებიც ერთავად, გაუთავებლად რეკდნენ. უამრავი ხალხი იყო შეკრებილი.

ამდენი ადამიანი ერთად ადრე არასოდეს მენახა. ფეხების კანკალით მივდიოდი. ვხვდებოდი, რომ კარგი საქმისათვის არ მივყავდით. სანამ ეზოს კარს მივაღწევდით, ერთ ადგილას შეჩერდნენ, კაცებმა ფეხები შემიკრეს, წამაქციეს და ყელში დანა გამომიხვეს.

ძალიან, ძალიან მეტკინა.

ჩემი მოჭრილი თავი იქვე დააგდეს და ჩემი პატარა ტანის აქნას შეუდგნენ. ახლოს ცეცხლი ენთო და მასზე უკვე ადულებული წყალი თუხთუხებდა. ნაწილი მასში ჩაყარეს, მერე ჩემი სხეულიდან რაღაც ნატვრები ამოჭრეს, ხის ჯოხებზე წამოაცვეს და ცეცხლს მიუშვირეს.

ყველაფერი საშინლად, აუტანლად მტკიოდა, მენვოდა და ვიტანჯებოდი.

ამ კაცებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ჩვენ, პირუტყვებს, სული არა გაგვანია. არადა, როგორ ცდებიან. სული ჩვენც გვაქვს.

ჩემი სული სხეულს რომ გამოშორდა, შეუმჩნეველად, ტანის გვერდით დადგა. ყველაფერს უყურებდა, ხედავდა როგორ ცალკე ეგდო სხეულისაგან დაშორებული ჩემი თავი და რას უშვებოდნენ ჩემს პატარა ტანს ეს ბოროტი, ავი ადამიანები. იმათი ლაპარაკიდან გავიგე, რომ ჩემი დაკვლით ვილაცის მომადლიერებას, რაღაცის თხოვნას თუ საკუთარი შეცოდებების დაფარვას ცდილობდნენ. გამიკვირდა, მათთვის როგორ და რა გზით უნდა მეშველა? ვერ მიხვდით ჩემი დაკვლა, დატანჯვა და შეჭმა როგორ შეუსრულებდა სურვილებს ან როგორ გააქარწყლებდა მათ უკეთურ საქმეებსა თუ ჩადენილ ცოდვებს? არ მესმის, როგორ უნდა უშველოს მათ ჩემმა პატარა სხეულმა ამ ცოდვილ, ზვიად და გულბოროტ ადამიანებს...

ის საშინელება, რაც მე გადამხდა, არასოდეს დამავიწყდება, კომპარირით მახსოვს...

ახლა აქა ვარ, მე როგორც პატარა, უცოდველი არსება ზეცაში მოვხვდი. ირგვლივ ბევრს ჩემნაირს ვხედავ. თუმცა ვერავის ვცნობ. ყველანი შეცვლილნი არიან. კარგია რომ აქ არავინ მემუქრება, რადგან სხეული აღარა მაქვს.

დროდადრო ვიხსენებ დედას, რომელიც იქ დარჩა. მის თბილ ჯიქანს, ტკბილზე-ტკბილ რძეს, საძოვარს, ლორთქო ბალახს, დედასთან სიარულს და ჩემს ტოლებთან კუნტრუშს, დედის მოფერებას და აღერსიან ალოკვას.

აქ, ცაში გავიგე, რომ ბოროტ ადამიანებს ოდესღაც ვილაც წმინდა ადამიანი დაუტანჯავთ, ჯვარზე გაუკრავთ, მსხვერპლად შეუწირავთ, მაგრამ ეს ადამიანი მკვდრებით აღმდგარა და თავის მამას დაბრუნებია. მაგრამ მე როგორღა აღვდგები, როცა ჩემი სხეულიდან ორიოდ გამობრლი პატარა ძვალიღა დარჩა?!

ახლა, მე მხოლოდ პატარა, ობოლი, უსუსური სული ვარ, აქეთ-იქით უმწეოდ დავბორიალობ, დავფარფატებ და ვერ გამიგია სად და ვისთან წავიდე, ვის მივეკედლო?

რანაირი ყოფაა ეს? როგორი უსამართლობაა? ნეტავი ასე ვინ დაადგინა? ნუთისოფელი მარტო ადამიანებისათვის რატომ უნდა არსებობდეს?!

ამ კითხვაზე პასუხი ვერავინ გამცა, ანკი, საერთოდ თუ არსებობს ამაზე პასუხი?!



ნინო უდილაური

საყვარელს

ხევსურეთს ჩავყევი მზის სხივებს,
გზაგასაყარზე არაგვთან,
ვკრეფდი ყვავილებს - მთის მძივებს,

მეც ვეზიარე ამ მხარის,
ძნელად გასავლელ ბილიკებს,
ლაღად გაყურებ ხევსურეთს,

მათრობს ბალახთა სურნელი,
მთა მხრებზე მზის სხივს მიიწმენვს,
მე სიყვარული მსურს შენი
და გულიც შენკენ მიიწმენვს.

შვილის თვალები

მეტი რა უნდა ვინატრო,
გაცისკროვნებულ თვალებით,
შვილს ვხედავ, პირმშოს შეჭხარის
ბაგეს უმშვენებს ლალები.

ლაღობს სიცოცხლე სიმრავლით,
მზე ცეკვავს ფერად სხივებით,
ღმერთო ნუ მოშლი ნურასდროს,
დედა ტკბებოდეს შვილებით.

ხარობდეს შთამომავლობით,
აღგეთს დაზარდოს ლეკვები,
ქრისტეს მცნებათა ნამლობით,
სულს მოაცილოს ეკლები.

მეტი რა უნდა ვინატრო,
მარტო ეს დამრჩა სათქმელი,
დედაშვილობის სახელით,
სულ გვენთოს წმინდა სათელი.

მეც ვამბობ

რამდენჯერ ითქვა, მეც ვამბობ,
მეტს ვერას გეტყვიტ სხვას,
უფალმა შექმნა სამყარო,
ცა, ხმელეთი და ზღვა.
გვარჯუქა ტკბილი სიცოცხლე,
ჩვენ გადავდივართ ზღვარს,
სხვისი ცხოვრების ქექვაში,
ბოღმა და შური გვეკლავს.
არადა, რა ლამაზია,
სამყარო, რაც ჩვენ გვაქვს,
ვიდრე სიკვდილი გვეწვევა,
თავად რად ვიკლავთ თავს.
სიყვარულისთვის ვიცხოვროთ,
სიყვარულს ძალა აქვს,
დავტკბეთ სიცოცხლის ნამებით
ვიდრე ცოცხლები ვართ.

სამყარო ჩემში

ახლა ვიგრძენი სამყარო ჩემში,
როგორც სიცოცხლის სანყისი ერთ დროს,
მე ჩაგაქსოვე ახლა ამ ლექსში,
სიყვარულია, ასე რომ ვერ გთმობს.

ჩამოღვენთილი მიყურებს მთვარე
და ნოსტალგია ფერებით ქრება,
მზის სხივით ისევ ნათდება მხარე,
გათოშილია წარსული, კვდება...

ახლა ვიგრძენი სამყაროს ხიბლი,
ჩემში მოზღვავედა სიცოცხლის ვნება,
სტროფებში ისევ მარცვლებად გითვლი
და გულის ფეთქვაც ჩარჩოებს სცდება.

წავიღეთ ერთად

წავიღეთ ერთად,
ზღვის ტალღებში ვიპოვოთ შვევა,
რომ მზის სხივებით არეკლილნი
ფერებს ვიცვლიდეთ,
იქნებ სიმშვიდემ და ტალღების
უცნაურ ფერმა,
კვლავაც ღრუბლებში გვანავარდოს,
როგორც ვიცით ჩვენ.

წავიღეთ ერთად
და დავტოვოთ ეს ბნელი ღამე,
მარადისობა სინათლეში
ვეძებოთ უნდა,
ნუ დადუმდები, რაც გინდა თქვი,
ოლონდ თქვი რამე,
შენი ტკბილი ხმა გამაგონე,
გაბრაზდი თუნდაც.

ისევ მე და შენ,
ზღვის ტალღები და თოლიები,
მარადისობის ზღაპრებს
კვლავაც მოგვიყვებიან,
ლურჯ იალქნებზე ამღერდება
ეს სიყვარული,
რადგან გრძნობები, წლებთან ერთად,
შენსკენ მორბიან.

გული მექახის

გული მექახის შენსკენ,
მტანჯავს სიყვარულის შეგრძნება,
როგორ მიყვარხარ მე შენ,
ხარ შეუძლებლის შეძლება.

ვცდილობ დავივინყო სახე,
ფიქრი ოცნებებს ეწვევა,
მითხარ, რად დამიგე მახე,
შეხედე, მთვარესთან მზე წვება.

საყვარელს

ხევსურეთს ჩავყევი მზის სხივებს,
გზაგასაყარზე არაგვთან,
ვკრეფდი ყვავილებს - მთის მძივებს,

მეც ვეზიარე ამ მხარის,
ძნელად გასავლელ ბილიკებს,
ლაღად გაყურებ ხევსურეთს,

მათრობს ბალახთა სურნელი,
მთა მხრებზე მზის სხივს მიიწმენვს,
მე სიყვარული მსურს შენი
და გულიც შენკენ მიიწმენვს.



ნოდარ ბადურაშვილი

არსებობს ფერი

არსებობს ფერი!
ამალამ, ამ წუთს, ღარი
სივრცეთა ნიაგარაა.
ფერენ, დამიჯერე,
გაელვებაა სული, ყვავილი,
ცვარი ვარსკვლავთა,
ჩვენება - სუნთქვა.
მითხარ ღიმილი, წმინდაო ზეცავ,
მიბოძე შუქი, გზა, ზავი, ზავი,
ზეღვთიურ მთებთან,
თაიგულს გიძღვნი,
ფერს ლურჯს და ნაშულს,
მითხარ ღიმილი, სული -
ყვავილი,
ფერენ, დამიჯერე, ლურჯ
ზეცის კორომს,
ნიაგარაა ვარსკვლავთა ტრფობა,
მსგავსება მასთან მრავალს სწყურია,
მოდი, ამყევი,
ვესროლოთ ორი ეული გული...
და მერე, მერე...

ეჰა, ცა მართალი ფილტვებში შემოდის,
ის ჩემში, მე მასში ეს ანარეგია,
გულს დრო არ ეტია, ეს მეტისმეტია,
მარადი კიდია, წრენირი წირია.
თვლა უღვია, წამს დრო ჰკიდია.
კიდია იმედი?
ცას მინა ჰკიდია.
რუსსაც ჰკიდია, იანკსაც ჰკიდია,
ფეხებზე მკიდია, დროსაც რომ ჰკიდია.
დრო მარად კიდია, ცა კიდით კიდია,
ტოტზეა იუდა, მთვარე ვერცხლია,
მზეს ისიც ჰკიდია.
რეგვენი ბევრია, არაყი კიდია,
შენ რა განუხებს, შენ რა გკიდია?!
არსობას ესობა, გულისგულს ესეა!
სად არის მესია?!
დრო ისევ ბევრია, დრო კიდით კიდია,
ეს მინა ესეა, ეს წამი ისეა,
კედელი სარკველი ზე მუქლურჯია,
იქ საუნჯეა.
სკნელი მუნჯია, უტყვად ფარული
ხსნის ბილიკია,
იქ კიდევ კიდია.
- მარქე რამე მართალი, მარულა აღმური,
გაშალე ფართალი.
მარები ვინ არი, ვინ არი მართალი.
ყრუ ხარ და ბრმა ხარ, აქ არ ხარ, არ ხარ,
სიცრუით ყარხარ.
მითხარი, ვინ ხარ, შენ იქნებ რა ხარ?
შენ ალბათ მზე ხარ, ხარისთვის ბზე ხარ.
განიბნა ვარსკვლავი, გაჰკივის მამალი...
ეს მეტისმეტია,
წამმა ცას უტია,
მეჩეჩზე ზე კვლავ კვლავ კაცთა.

ვინ ხარ, რომ ხარხარით გადევნე
სკნელეთს.
შენ რა ხარ, რა ხარ,
მზე ხარ და ბრმა ხარ?!

ლოდის მოწოდება

როცა არ გტკივა ის ფარული შენი ალაგი,
ის კუნჭული, რაიც თურმე შენი არ არი,
იქით მიილტვი, გზა კი არ არი.
ზეცივით ირჩევ გეზსა და სავალს,
ხსნა აქ არ არი.
სადღაც მკერდშია, სადღაც სხვენშია,
თითქოს მტვერშია,
ო, სულსა შია ხილვა თვისი,
სარკე არ არი.
ის მღერის ცრემლით, ცრემლი ბროლია.
კვამლი არ არი.
მის წინ აშლილი მთლად გადაშლილი
ვარდი არ არი.
თეთრ სივრცეებში ნაკვალევს ტოვებს,
სუნთქვით ივსება, სხეულს იძენს,
ნეტავ რა არი?

ვუყეფდი სავსეს, ბერნ მრგვლოვანს,
ლუსკუმში მგორავს...
ო, ერთგულების ხრინწიან ყმუილს
ყულფი მიხეხდა.
რა მიხაროდა, მჭადის სურნელი?
ჰო, მგრძნობიარე ყნოსვა მღუპავდა
და ტანგო კუდის,
ნეტარებით ტაქტში ტოკავდა,
ნერწყვი, სურვილი
და მთვარესავით თეთრი მათლაფა
(ჰო, საკავავი...)
ბნელა და ნელი ძილია ყველგან.
ვყეფ, ისევ გვრემა.
ნათელი - ბნელი და ნება-ნება
ისევ შიმშილი?

ავინყვეტ ერთგულებას, მჭლე
თავისუფლებას,
ოთხი ტაქტით დავედევნები,
ალარ ვიდარდებ, იდარდოს
თავისუფლებამ,
ის ისეთი ცარიელია მუდამ.

ყულფი გაქონილია,
მოდი, ბებერო, გაჰყავი თავი
და იყავ მაძლარი...

ყვავილმა მითხრა

ყვავილმა მითხრა, მომხედეო,
ცად იორდანე მოიმღეროდა,
ღიმილსა ჰგავდა ნათლობა ჩვენი.
რაგინდ ბაგემა ქარაგმების მარაო
შალოს,

განა დამალავ არსს ადამისას?
ნუშის ჭრილებში მომწყვედუელი
ფეთქავს კოცონი.
წერაა, წერა ზე იორდანე!
განა გამხელილ იღუმალელებს შეიცნობს
არსი?

არსი მაღალი სიბეჯითისა სიყვარულია
და სადღაც ისევ იბადება წარწარი ნავლი.
მე და მდინარე, უნაპირობა...
ო, ხეთა რქებში მჯილა ვარსკვლავთა
მიმქრალი ალი გეგონებოდა
და ამ დროს, ამ დროს თვალებს
ციურებს გადავეყარე...
რა უცნაური გაზაფხულია,
შენთვის პირველი ნათლობა ზეცით,
ჩემთვის ეს ლხენა აღსასრულია,
ო, იორდანე,
ო, იოანე...



ნიგნი-მონუმენტი

თითქმის 30 წელია, რაც აღარაა ზვიად გამსახურდია, მაგრამ მისი სახელი არ ჩამოდის ტელევიზიის ეკრანიდან, პრესის ფურცლებიდან, მასობრივი ქსელებიდან. მასზე იწერება ესსეები, წიგნები, პოლიტიკური შეფასებები, მოგონებები და ლექსები, იდგმება მისი ბიუსტები.

აღბათ, იშვიათია ქართველი მოღვაწე, ვისზეც ამდენი ტყუილი, ლანძღვა, ცილისწამება დაწერილიყოს, ვისაც ასე სასტიკად მოქცეოდეს საზოგადოების ნაწილი და მანაც შარავანდებით შემოსილიყოს.

დღეს ზვიად გამსახურდიას სახელი, როგორც ინტელექტუალის, დისიდენტის, დამოუკიდებელი ქვეყნის მესაძირკველისა და პირველი პრეზიდენტისა — კანონიზებულია. გუშინდელი მტრებიც კი სხვაგვარად იქცევიან და მეტყველებენ, რადგან იგი მართალი იყო ქვეყნისა და თავისი თავის წინაშე.

მიუხედავად ასეთი ტრიუმფისა, ყოველი ახალი სიტყვა მის ღვანლსა და ნააზრევზე ისევ დიდ ინტერესს იწვევს, ისევ ამძაფრებს სინანულის გრძობას.

ძვირფასო მკითხველო!

აი, ახლა თქვენ გაეცნობით კონსტანტინე ზ. გამსახურდიას ვრცელ და დიდმნიშვნელოვან ნაშრომს საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, მისი დრამატული ცხოვრების გზაზე.

ეს არის ნიგნი-მონუმენტი, დაწერილი დიდი ცოდნით, პოლიტოლოგიურ-კულტურული თვალთახედვით, საოცარი ობიექტურობით.

საერთოდ, ძნელია თავი შეიკავო, როდესაც ეცნობი უამრავ ცრუ, ყალბ და უსინდისო მსჯელობას სიმართლისა და პატრიოტიზმის ნიღბით, დევნისა და წამების ისტორიას, მით უმეტეს როცა საუბრობ საკუთარ მამაზე...

კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ შეძლო, დაეძლია არაერთი სუბიექტური და და ობიექტური ბარიერი, როგორც დიდმა ერუდიტმა, ანალიტიკოსმა და მოაზროვნემ.

წიგნი განხილულია აურაცხელი ფაქტობრივი მასალა, პრობლემური საკითხი, რომლებიც დღესაც ისევე გვაღელვებს, როგორც 30 წლის წინათ.

ზვიად გამსახურდიას სახელი ქვეყნის თავისუფლების სიმბოლოდ არის ქცეული. ვინ იცის, რამდენი ნაშრომი დაიწერა მასზე ან შეიქმნება ხელოვნების ნიმუში; როგორი ინტერპრეტაციები მიეცემა მის აზროვნებასა და მოქმედებას, მაგრამ ეს წიგნი მუდამ გზამკვლევი და შუქურა იქნება მომავალი თაობებისა და ინტელექტუალებისთვის.

სოსო სიგუა
პროფესორი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან“

სანერ მაგიდას მიუჯდა. რაღაც დანერა, მერე დაკუჭა და გადაადგო. ეს ბედი გაიზიარა მომდევნო ათმა ფურცელმაც. დიდი ხანია, რაც არაფერი დაუნერია. არადა, ეს არის მისი შემოსავლის წყარო. უცბად გაიზარა, ფული მისთვის მეორეხარისხოვანია და ის უფრო აღელვებდა, რომ ერთადერთი რამ, რაც სხვებისგან გამოარჩევდა, დაკარგა. თითქოს ნიჭი გაქარწყლდა, გაქცევის ლამობდა, ის კი არ უშვებდა. შიმშილი მოიცვა მისი სხეული. იგრძნო, რომ შაერი აღარ ჰყოფნიდა და ფანჯარა გა-

ცოტა უფრო მეტი შეხება ჰქონდა გარე სამყაროსთან, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო მარტოობას მიჩვეული, ისევ თავის თავში ჩაიკეტა. იგი ხშირად აშტერდებოდა საკუთარ თავს სარკეში, აკვირდებოდა თავს და ფიქრობდა, რატომ იყო ასეთი მარტოსული? რატომ ვერავინ ვერ ეწყობოდა? ერთ მზიან დღეს ვილაცხას შეხვდა. უცნაური იყო, ეს ადამიანი მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. შეცბუნებული მიუახლოვდა უცნობს და ჩაახველა. - უკაცრავად.

ესეზდა, ბილეთისთვის ხომ ეყოფოდა და კინოსკენ გასწევდა. სალაროსთან მოუთმენლად ცქმუტავდა და თვალები უელავდა. - ერთი ბილეთი. - რაზე? - უახლესი რა არის? - „ცხოვრება, როგორც მატარებელი“. - კარგია, ეგ მინდა. მოლარე ბილეთს ღიმილით გაუნოდებდა, ისიც გამოართმევდა და დარბაზისაკენ გასწევდა. მარტო იჯდა,

მთვარის შუქზე დანერილი

გვანცა ფხალაქი

ჩანახატები

მოალო, აივანზე გავიდა, სკამზე ჩამოჯდა და ასე გაუძრევლად იჯდა სანამ არ შებინდდა. მერე ქარმა დაუბერა და შესცივდა. სახლში მოსაცემელის გამოსატანად შევიდა.

ინსპირაციას ყველგან ეძებდა. ხალხს იდეებს სულივით ამოსწოვდა. საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ახლა ის მტაცებლად, პარაზიტად გადაქცეულიყო. ცდილობდა, ნადავლი დაეჭირა, თუმცა ვერაფერს ხდებოდა.

ერთ ღამეს, როცა მთვარის შუქი ფანჯრიდან იღვრებოდა, იგი სარწეველა სკამზე ჩამოჯდა. ფურცელი და კალამი ხელში ეჭირა. მთვარეს აშტერდებოდა. ინსტინქტურად აამოძრავა ხელი და რაღაც დაწერა. სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა, როცა მიხვდა, რომ მოეწონა. პირველად ამ ხნის მანძილზე საკუთარი ნაწერი მოეწონა. მას შემდეგ ყოველ საღამოს ეგებებოდა მთვარეს და წერდა, წერდა მანამ, სანამ მარჯვენა ხელის ცერა თითზე ძარღვი არ ამოებურცებოდა.

ერთ საღამოსაც მთვარე აღარ გამოჩნდა. ამაოდ ელოდა მთელი ღამე, ბოლოს კი ჩაეძინა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რატომ ელოდებოდა მთვარეს. ის ხომ არ აძლევდა იდეებს. ფარდა ჩამოაფარა. უკუნეთ სიბნელეში იჯდა სარწეველა სკამზე, დასევდიანებული მთვარის შუქზე დაწერილი პოემები კი გვერდით ედო. ფიქრობდა და ისევ ფიქრობდა. ბოლოს მიხვდა, რომ მთვარემ ბიძგი მისცა იდეები საკუთარ თავში და ბუნებაში, რეალურ სამყაროში ეძებნა.

სკამის საზურგეს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. მერე მთვარის შუქი დაინახა, თუმცა ვერ გაიზარა ეს სიზმარი იყო, თუ რეალობა.

სარკე

რაღაც თავი ახსოვს სულ მარტო იყო. საუბარი არ უყვარდა. თავიდან ასეთი ცხოვრება მისთვის მისაღები იყო, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. დაიღალა რუტინით და მიხვდა, რომ სულაც არ მოსწონდა მარტოობა, უბრალოდ თავს ასე აჩვენებდა. გადანყვიტა,

- დიახ, - ამოიხედა და მასაც შეეტყო განცვიფრება.

- რას კითხულობთ? - ამის კითხვას არ აპირებდა, მაგრამ სხვა არაფერი მოუვიდა აზრად თავში.

- „თამაში ჭვავის ყანაში“...

- ძალიან მიყვარს ეს წიგნი, ჰოლდენზე რა აზრის ხართ? - გვერდზე ჩამოუჯდა უცნობს.

- ჩემს თავს ვამსგავსებ ჰოლდენს, იცით ისიც ჩემსავით მარტოსულია.

- უცნაურია, ერთმანეთს ძალიან ვგავართ.

- შევამჩნიე, - ჩაიციხა უცნობი.

იმ დღიდან განუყრელი მეგობრები გახდნენ. ერთმანეთს ყოველთვის მხარში უდგნენ და ეხმარებოდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათმა მეგობრობამ სიცოცხლის ბოლომდე გასტანა.

ინვა, თავს ცუდად გრძობდა, ის კი გვერდით ეჯდა.

- იცი, რა მიკვირს? ასაკი არ გეტყობა, შენ უბრალოდ არ იცვლები. - თქვა მომაკვდავმა.

- მერე ეგ კარგი არ არის? - გამოეპასუხა ხმამაღლა ექო.

- როგორ არა, უბრალოდ უცნაურია.

- ასაკი როგორ მომემატებოდა, შენ ხომ მე შემიქმენი, - თქვა და ის სარკე გაუნოდა, რომელიც მათი შეხვედრის დღეს იყიდა. მერე გაიღიმა და თითქოს გაუფერულდა.

- მამ, სარკე, სარკე თქვი არა? და ნატვრაც აგიხდა. - ჩაიციხა უცნობი, ზუსტად ისე, როგორც შეხვედრის დღეს.

სანამ იგი მის ანარეკლს მიშტერებოდა, მეორე გაქრა, მისგან კი მხოლოდ ღრუბელი დარჩა.

მზიანი დღე იყო.

რაღაც თავი ახსოვს, სულ მარტო იყო, მაგრამ მარტოსულობა არასდროს უგრძენია.

კინოს მოყვარული ადამიანი

ყოველდღე ფულს ქილაში გადაუძახებდა, რომელსაც ეწერა - „კინო“. თვის ბოლოს ქილას თავს მოხდიდა და ფულს კარგად გადაითვლიდა, აინტერ-

ეკრანს ღიმილით მისჩერებოდა და განვლილ დღეებზე ფიქრობდა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ისვენებდა და ფიქრებს თავს უყრიდა.

ფილმის მთავარი გმირი მატარებელში იჯდა და ნაცრისფერი თვალები ხედისთვის მიეპყრო. ის მოგზაურობდა და ყოველ მატარებლის გაჩერებაზე ახალ ადამიანს, ახალ ისტორიას ეცნობოდა. ფილმი ძალიან მოეწონა და გადანყვიტა კიდევ რამდენჯერმე ენახა. სახლში მივიდა, დივანზე დაწვა და დაძინება სცადა, მაგრამ მისი ფიქრი ისევ იმ ფილმის მთავრ გმირს დასტრიალებდა. უნებურად გაეღიმა, მიხვდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის კინო, როგორ ამშვიდებდა და ავიწყებდა ყველაფერს იგი.

ქილას თავი მოხადა და მონეტები ხელის გულზე გაიყარა. შენობას მიუახლოვდა და კარის გაღება დააპირა, ის უცნობმა შეაჩერა.

- მაპატიეთ, მაგრამ ვერ შეხვალთ.

- და რატომ?

- კინო იხურება.

- რატომ? - იგრძნო, როგორ შეექმუნა სახე მას.

- ომი ჩვენს ქვეყანასაც მისწვდა და მთავრობამ გადანყვიტა, ყველა ასეთი შენობა იარაღის საწყობად და გადასამზადებელ ცენტრად გამოიყენოს.

- თქვენ არ ხუმრობთ?

- ვწუხვარ, რთული დროა.

მოტრიალდა და ბურუსში გახვეული სახლის გზას დაადგა. საკუთარ თავზე გაეცინა. ასეთ მძიმე დროს, კინოზე ვფიქრობო. მაგრამ ეს ხომ ომის შესაჩერებელი საშუალება იყო. კულტურის მინოდება ადამიანებისათვის, იდეების გაზიარება და მსჯელობა, მერე ბრაზი შემოაწვა, ბოლოს სასონარკვეთამ იჩინა თავი.

ომი რომ დასრულდა დიდხანს იხსენებდა იმ ფილმის სახელს, მაგრამ ვერა და ვერ გაიხსენა.

მათ კულტურა და ხელოვნება იარაღად და ბინძურ ომად აქციეს, ომად, რომელსაც არ გააჩნდა მორალი, წესები და ოდნავი ჩანაფიქრი მაინც.



მირანდა ერისთავი

მე ვარ დაცემული ანგელოზი,
ვცოდავ, თვალეზი მაქვს ლუნი ფერის,
ღმერთი, მე კი არა, -
აგერ რომ ზის - ისაა,
მე კიდევ - ლუციფერი!

ასჯერ ასი ცოდვა ჩავიდინე,
მამლის ყვილაძემდეც ვერ მოგყევი...
ჩემთვის ანთებული ჩაიდანი -
აორთქლდა! - შენ მაინც მელოდები!

გული ტყვიასავით გამივარდა,
გზები მეძახიან გამრუდების,
შენგან წამოსული კრავი ვარ და -
ვიცი, ბოლოს შენთან დავრუნდები...

მოვიდვარ შენთან და ცოდვებს ვიხდი
გიტოვებ ფეხთან- როგორც ზვარაკებს,
ჩემში გამშრალი ცრემლების ხიდი
თვალის დათხრამდე მალაპარაკებს...

მანუხებს შენთან შეხების სიცხე -
ახლოს ხარ, თან მკლავს შენგან სიშორე,
ზეთის მაგივრად კვლავ ცოდვით გიცხებ
ფეხებს და მერე თმებით გიმშრალებ.

განმწმინდე!
გონმენდ ფეხებს მაცხოვარს, -
(იუდას მზერა თმაზე შემახმა);
და ჩემს ცოდვებზე მეტად მაცხარებს
ის- რომ ჩემს გამო გყიდის ხელახლა.

გიჟვა

შენ დღეს ნახვედი-
ან უფრო ადრე,
ან არც მოსულხარ, იქნებ არასდროს.
მე ამ ყველაფერს "გაგიჟვი"-ს ვარქმევ,
რომ ამ შენს წასვლებს დროში გავასწრო.

არც გყვარებივარ- ვიგრძენი გუშინ,
და ამ ყველაფრის გარდაც გეკიდე,-
და მდგმურით რომ შესახლდი გულში-
არქმევდი: რომ მე გადაგეკიდე....

შენზე ლექსების ვგავარ გარეკანს-
(ჩვენ ერთმანეთში ვეჭვოდით გიჟებს),
და სანამ შენი წასვლით გავრეკავ-
შენს ჩემგან წასვლებს ვუყვირი: "გიშვებ!"

ფარდობითობა ყოველთვის მძულდა,
ფარდობით დროსაც არ შევეფარდე...
წლები სჭირდება მიხვიდე გულთან
და წამი- გულის გაჩერებამდე...

მიდიან წლები, -
მე ისევ აქ ვარ,
ხვალ მეც გავყვები დროის გას-
ტროლებს;
მოდინარ, ჯვარზე ხელახლა მაკრავ-
რომ ძირს ჩამოყრილ მხრებში
გავსწორდე.

შენ - არა, მე ისევ ცუდად ვარ,
შენ - არა! მე ისევ მოგისმენ.
შევხვდებით, აქ - არა! უფალთან!
ხვალ არა! ზეგ არა! როდისმე!

შენ - არა! მე - ისევ (ეს სახლიც)
გნატრულობთ მინიდან ჭერამდე
შენ-არა, მე ისევ გეძახი:
მინდა, რომ ღმერთით მჯეროდე.

მე - არა! იხარე შენ ისევ, -
როდესაც გავხდები სამინე,
დავლიოთ! დღეს ჭიქა შემისვ -
სანამ ხვალ საფლავზე წამიქცევ...

რა გინდა

რა გინდა, თქვი, ასე უბრალოს
ჩემთან, ან გიყვარვარ რის მერე?
ჩემთვის რომ სულ ჭირისუფალობ, -
მე რომ შენს თვალეზთან ვისვენებ...

რა გინდა, რა გხიბლავს, რას ეძებ?!
(მე შენში ვპოულობ იმედებს);
მიყოფ სულს, ლუკმას თუ სარეცელს,
სხვა კი ტალახსაც ვერ იმეტებს...

რა გინდა, - ასე რომ მპატიობ, -
(გფლანგავ და კარტივით გარიგებ),
წავაგე ცხოვრების პარტიაც
და დედოფალში ვცვლი პაიკებს...

ვიღლები, სულ ქაოსურია
ცხოვრება ჩემთვის და მათია.
შენ იცი ცოდვილი სული ვარ,
იცი და ღმერთით მპატიობ...

გზა შენსკენ უფროა დღეს შორი -
სულ ცოტა ნაბიჯი კიდევ;
მთვარე კი - ჩამდგარი ჩვენს შორის -
ადამის ვაშლივით ჰკიდია.

დროს ჩვენც მიეყვებით, -
ვით ჩაუბმელ ზამთრის მარხილებს,
ვერ გამოვედით ამ ცხოვრების მძიმე
ძილიდან;
მე გეუბნები: ვერ შევხვდებით, - ისევ
გმარხულობ!
შენ მეუბნები: შევხვდეთ! -
ჩემთვის მარხვა ხსნილია!

გია ტულუმი

მსოფლიო სულო!

საით მიგინევს შემდრკალი გული,
საით მიჰქრისხარ, მსოფლიო სულო?!
თითქოს ცბიერი ოდისეა ხარ,
თვალს არ გვაშორებ, გავეშებულო!
ჩემში მოძრაობს ტყვედქმნილი ხარი,
ვით ისტორია, სისხლით მორწყული,
ჩვენს შორის ჩადგი ცეცხლის ტიხარი
და მატრიცული კვდომის მოდული!
თუ ხარ ძალუმი, ღმერთთა ტიტანი,
რალატომ მდევნის შენი მსტოვარი?!
მამის სიკვდილში რატომ გიცანი?!
იარა, შენგან დანატოვარი!
და ჩემი სული, ძალზედ ხრახნული,
კვლავ შეებმება ურჩ ამორძალებს,
როგორც სამყაროს კანონმდებელი,
ტახტებზე ჩაგრულთ ამოაბრძანებს!
ეს აჯანყება იქნება მეხი,
ფრიად მრისხანე და მონინავე,
გავშალე თეთრი ლითონის ფრთები,
მონათა გვამნი ავამოძრავე!
მოგელავს ლორდთა პატრიარქატი,
მე კი არქონტებს შუბით განვგმირავ,
ჩამესახება პოლიდამანტი,
ალარასოდეს ამოვიგმინავ!
და იორთქლება ორთქლის მანქანა,
გამოგვიგზავნე დიდი ჯოული,
რომ დადგეს ისევ ახალი ხანა,
რომ არ დაძროდე ცრემლმორეული!
მაგრამ ვიცი, რომ მაინც მოიწყენ,
გარდაუვალი პროგრესის კოდით,
თუმცა, იცოდე და ნულარ მიწყენ,
თუ დავაბლეს მსოფლიო ბოდვით!
უკვე დაეცნენ ჰედონისტები,
მე რაინდი ვარ, არც ვიხედნები,
ამოსუნთქვაა ახალ ეპოქის,
რომ გაგთელავს და თან, დანებდები!
ვინ მოკლავს ჩემში კაცისკვლის
წყურვილს,
რომელიც გენში ამიბრიალე?!
მოვფრინავ ლენვით და დაგამარცხებ,
ვით მეტეორი, მოხეტიალე!

გაკონდოს წვიმასავით

გაკონდოს წვიმასავით ეპარები
სამყაროს,
გაყინულ მთაში გრიგალივით
წამოვიმართე,
დაე, ჩემს სულში ყვავილივით
ამოიყარო,
უხედნავ მერანს ხელი ვსტაცე,
გამოვანათე.
მეტყვიან ხვალ, რომ შემეშალა მგელთა
თამაშში,
მაგრამ გპირდებით, ყურს არ
ვუგდებ ქურუმთა თარემს,
მივჭკვივარ ცისკენ, ყოფიერის
დასალიერში,
მზის ნასხლეს ვუთევ საბოლოო,
უნაზეს ღამეს!

ასეა, როცა ვნებებს თოკავს ლალი
სატანა,
არაბუნებრივ გოდებაში ძალასაც
ხარჯავს,
რომ ბოლოს, ვნებამ აწყვეტილი
ვეზუვის მსგავსად,
სამყარო, როგორც ნინეია,
უსიტყვოდ აღგვას!
ვინ გამაკვირვოს წვიმებით და
მონყენილობით?!
მე ხომ გოლგოთა ფეხშიშველი
შემოვირბინე,
რომ ამცდენოდა წმინდა ჯვარცმის
მისტერიები,
რომლითაც ქრისტე სამუდამოდ
აალორძინე!
ცივო სხეულო, სკაფანდრით მინდა
გიცვლიდე,
რომ ახალ სხეულს ძალა ჰქონდეს
აღზევებისა,
რომ ალტაცებით შეებრძოლოს
მაკონდოს წვიმებს,
არ ეშინოდეს ხელმეორედ დაბადებისა!

დაე!

დაე, წაილოს ქარიშხალმა ბოლო იმედი,
დაე, სიკვდილი მოიტანოს ტოლტეკთა
რაზმმა,
თუ გადავრჩები, ხომ კარგი და თუკი
მოვკვდები,
ჩემო მარდებო, რალად უნდა ამას
დარაზმვა?!
ანრიადდება ჩემი სული, სადღაც
ბნელეთში,
რომ კვლავაც შექმნას საოცარი
რობაიები,
გიჟური რისხვა აამხედროს შემოილ
გებელსში,
ძალით ალავსოს მეფეები და კეისრები!
ვიცი, დავტოვებ სამეფოს და შენთან
წამოვალ,
რომ აგზნებულმა დაგიხეთქო ცხელი
ვენები,
ალარ იქნება არც სიმორცხვე, არც
აღმაფრენა,
სხეულს გადაღლის უძლეველი
მისწრაფებები!
რადგან ვინც ფრინავს, ის აღვივებს
მოკვდავში ღვარძლსაც,
მე აღარ მინდა გაფრენა და
განავარდება,
უნდა დაგიპყრო, ჩაგისაფრდე
ლოიოლურად,
ბოლო გასროლა, ვიცი, მხოლოდ შენ
მოგეძღვნება!
დაე, წარლხოცოს ქარიშხალმა ბოლო
ქაოსი,
დაე, სიკვდილი მოიტანოს მისმა
შემქმნელმა,
რომ ახალშობილ სამყაროთა
უდაბნოებში,
ისევ მშთანთქოს და აღმაზევოს ბნელმა
ქვესკნელმა!

ჰორსტ ულრიხ ვენდლერი

მე საყვარელი მყავს

ჩვენ კვირის უკანასკნელ დღეს შევხვდით ერთმანეთს ვაიმარში - კაფე „ელეფანტი“, კლასიკურად რომ ვთქვათ, „ლოტე ვაიმარში“, თუმცა ლოტე არ ჰქვია. ასეთ შემთხვევაში მე მას საგანძურს დავარქმევდი, მაგრამ სახელს რა მნიშვნელობა აქვს! შესვლისთანავე ვიცანი. მაგიდასთან მარტო იჯდა და ფინჯანი ყავა ედგა. მის გარდა, დარბაზში ტურისტული ჯგუფი და რამდენიმე მოხუცებული წყვილი იყო. ისინი კვირის ბოლო დღეს მშვენივრად ატარებდნენ. იგი მოუთმენლად მელოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და სწრაფი ნაბიჯით მისკენ გავემოძრა. -მგონი, თქვენთან მაქვს პაემანი დანიშნული. -შესაძლებელია. -პაროლი სტელაა? დიახ, ის იყო. ეს ჩემი საყვარელი იყო. უფრო სწორად, ჩემი საყვარელი უნდა გამხდარიყო. ამ მიზნით ჩვენ აქ დავთქვით შეხვედრა. მაგრამ მაშინვე სანოლში ხომ არ შეძვრები, მით უმეტეს, როცა ქალს პირველად ხვდები! ჩვენ მოთმინებით აღვიჭურვეთ და მხოლოდ ნაზი შეხებით ვკმაყოფილდებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისაკენ ვისწრაფოდით, მაინც უკან ვიხევდით, ერთმანეთს იმ მხრიდან მივჩერებოდით, რომელიც განსაკუთრებით მოგვწონდა. ო, როგორ მიყვარს ქალის ლამაზი თავი შეჭრილი თმებით! ეს, ალბათ, პარიკია, მაგრამ რა უჭირს? მარტო ბუნებრივი ხომ არაა ლამაზი? ცოცხალი, ციმციმა თვალები, რომლებიც დროდრო რაღაცაზე ჩაფიქრდებიან, ბავშვურად მომღიმარე ტუჩები. პულოვერის შიგნით ლიფი არ ეცვა. მე ეს თავიდანვე შევნიშნე! როდესაც გაქათქათებულ მაგიდასთან აღარ გვეჯდომებოდა, ჩვენი ოთახის გასაღები მოვითხოვეთ. მე უცაბედი მზერა ვესროლე ოთახს, მერე კი ერთმანეთი ხანგრძლივი კოცნით დავაჯილდოვეთ. ჩემი ხელები მის თავისუფალ შეურყვენელ სხეულს ეფერებოდა. მიუხედავად ამისა, ჯერ მაინც ქალაქში გავისივრეთ. უკვე ბნელდებოდა. ჩვენ ვიტრინებს ვათვალიერებდით. საბედნიეროდ, მალაზიები უკვე დაკეტილი იყო. -სახლიდან წამოსვლა ხომ არ გაგიჭირდა? - შევეკითხე. -აქ მივლინებით ვარ. -მივლინება კვირის ბოლოს?! - გავიკვირე. - მერე სჯერა ეს შენს ქმარს? - შენ არ გჯერა შენი ცოლის? -არ ვიცი. - ეჭვიანი ხომ არ ხარ? - დაინტერესდა იგი. მე ფიცით უარყვავი ეს ბრალდება. -ეჭვიანი ადამიანი ცდილობს თავისი მეგობარი ნივთიერ საკუთრებად აქციოს. ამ შემთხვევაში კი გრძნობა ითრგუნება. მან გაიღიმა, ხელკავი გამიკეთა და მომეხუტა. -მამ, ჩვენი საქმე კარგად მიდის. ჩვენ ვუყურებთ ერთმანეთს, გვიყვარს ერთმანეთი და ერთმანეთს დავშორდებით ყოველგვარი საყვედურების გარეშე. იქნებ შენ სხვა მოსაზრება გაქვს? -არაფერი. - ვითარე მე, - არ მაქვს განზრახული ჩემს ცოლთან განშორება. იგი იმდენად საქმიანი და წესრიგის მოყვარულია, რომ ზოგჯერ ეს აუტანელიც კი ხდება, მაგრამ ეს განქორწინების მიზეზი როდია?! იგი კმაყოფილი დარჩა. -არც მე ვისურვებ-

დი ჩემი ოჯახის დანგრევას. იგი იდეალური საყვარელი იყო და მიხაროდა, რომ მე მეკუთვნიოდა. ჩვენ სიამოვნებით ვუსმენდით მატარებლების სტვენას, მაგრამ ჩასხდომას ვერ ვებედავდით. ბოლოს ავედით. ჩვენ ვვახშობდით და სხვადასხვა რამეებზე ვლაყობოდით. მიუხედავად იმისა, რომ პირობა დავდეთ, ჩვენი მეუღლეები არ გვეხსენებინა, მე მაინც ვადარებდი ამ ორ ქალს ერთმანეთს. ეს ბუნებრივიცაა! ჩემს ცოლთან ნებისმიერ საკითხზე შემიძლია საუბარი, იქნება ეს ყოველდღიური წერილობრივი თუ სამსახურებრივი საქმე. იგი ყოველთვის ყურადღებიანი მსმენელია, არ შეგანწყვეტინებს საუბარს, თუნდაც ის რამდენჯერმე ჰქონდეს მოსმენილი. ჩემი საყვარელი მისმენდა. მერე მე ვუსმენდი მას. სულ დავცალეთ ჩვენი პანდორას ყუთი. დიდი ხნის დაინწყებულიც კი გავიხსენეთ და მასში რაღაც ახალი და საინტერესო აღმოვაჩინეთ. მერე ვიცეკვეთ. მიუხედავად ხანგრძლივი შესვენებისა, თითოეული ჩვენგანი კარგად ცეკვავდა. ამ აღმოჩენამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. და შემდეგ იყო დანარჩენი... ის ჩემი საყვარელი გახდა. იგი ჩემ წინ აღმდგარა. -გამხადე თუ შეიძლება! ეს მე გულისფანცქალით გავაკეთე. -ჩემმა ქმარმა ეს საქმე ძალიან კარგად შეისწავლა, - გამომიტყდა იგი. -მალა წინდებს ატარებ? - გავიკვირე მე. მან შემომხედა. -მოგწონს? -შესანიშნავია! კოლგოტი რაღაც წარმოსახვის უნარს გიკარგავს. ქალის თეთრი ფეხის შეხედვამ გამაბრუნა. ის ძლიერი ქალი იყო და ეტყობოდა, რომ ქმრისაგან არ იყო სათანადოდ დაფასებული. ჩვენ დაკარგულის ანაზღაურებას ვცდილობდით. რაც უფრო გემატება წლები, მით უფრო ეჩვევი შენს საკუთარ თავს, იმ ღამეს კი მე გაცილებით ახალგაზრდა ვიყავი და ყველაფერი ახალი იყო... დილით მატარებლამდე მივაცილე. სველი ქუჩები სვედიანად გამოიყურებოდნენ. მეც ნაღველი მომეძალა. -ძალიან კარგი იყო შენთან, - გამიღიმა მან. -ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. -და, რაც შეიძლება, მალე, -მიპასუხა. შესანიშნავი ქალია! ნეტა თუ იცნობს მას მისი სულელი ქმარი! გამომშვიდობებისას ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ. -სახლში რომ მიხვალ, კიდევ ნაიკითხე ის,- ვთხოვე. მან თავი დამიქნია. აი, მატარებელიც მოვიდა და ის წაიყვანა. უკან ღიმილი დავადევნე. სანამ ჩვენს ოთახს დავტოვებდით, მე მას მომხიბვლელ მკერდზე წვრილი წითელი ფანქრით დავანერე - „მე შენ მიყვარხარ“, თან გავაფრთხილე, ქმარმა არ შეგამჩნიოს-მეთქი. რამდენიმე საათის შემდეგ მეც გავემგზავრე. როდესაც სახლში შევედი, ჩემი მეუღლე სააბაზანოში იყო. კარებიდან მივესალმე: -აი, მეც აქა ვარ. გაქვს რაიმე საქმელი? ცოტა ხნის შემდეგ ისიც გამოვიდა სველი თმებითა და ოდნავ გახსნილი პერანგით. მკერდზე წვრილი წითელი ფანქრით რაღაც მიწანერი შევამჩნიე. მივუახლოვდი და გრძნობამორეულმა წავიკითხე: „მე შენ მიყვარხარ“. -არ ნაიშალო, - ვთხოვე, - ეს მოგონება ცოტათი მაინც შეარბილებს ყოველდღიურ პრობლემებს.

გერმანულიდან თარგმნა ანა ყაბარაულიძე.

ჟოზე სარამაგო Inventário
თქვენი თითები, ვინ მოქსოვა აბრეშუმისგან, სპილოს ძვლისაგან, თეძობის, ვინ ძერწა ღვედი, ეს, მერამდენად, გადმოუშვით მიწაზე ციდან, რომ ძირს, გრაციის ნაბიჯების დარჩეს ხავერდი.. რისგან ჩამნიფდა ასე, მძაფრად მაყვალის წვენი, რომ ჩაენურა მაგ ძუძუში მომჟავო წიდა, რად შემოირტყით ინდოეთის ბამბუკით წნელი, ეს ნაპერწკლები თქვენს თვალებში, როგორ გაბრწყინდა. საბედისწეროდ, კლდეზე რატომ დაეძებთ კარებს, მაგ ბარძაყებზე მოხვეული გველური ხაზით, როგორ აპკურებთ წყაროების თეთრ სიანკარეს, როცა ბაგეზე საოცარი სიცილი გაზით... ტყეებმა თავი დააღწიეს, ნეტავ, რომელ ზღვებს, ზღურბლთან გაბნეულ მარჯანებში რომ გადაეშვით, და როცა მოხვალთ, რომელ სურნელებით ამაგზნებთ, თავბრუდახვეულს, ჟინმორეულს მრუმე ღამეში.

ჭიამაია(უნგრულიდან) ხალხური (ბნ.კალ ელერდაშვილისა)

ჭიამაია, წითელკაბავ, ხალხიანო., ფრთასიფრიფანავ, არაფერზე აღარ მიაბო. არ გკითხავ, როდის წაეკიდა ხვატი მკათათვეს, ან, ალუბლები, ღამეს როდის, ვისთან გაათევეს. მზე ამოვართე ზეცას, ცრემლის მოსწყდება ცრები. არ გკითხავ, როდის ვიშვებდი, ან, გარდავიცვლები. რადგანაც, სულში გაზაფხული არ არის გვიან. რადგან, ვარდები ნაღმებით მიფეთქდებიან.

პერსი ბიში შელლი მე- ოზიმანდია.

ყვება, მოსული ანტიკური ქვეყნიდან, მგზავრი: "უდაბნოში დევს ქვის ფეხები უზარმაზარი. ჩამხოხილა და ავსებია სახე სილებით, მკაცრად მზირალი, სიამაყით, ძალმოსილებით. სახე კი, ისე იმზირება, თითქოს, კვლავ, უფლობს, ნაოჭიანი ტუჩი იტევეს მუშტს და დაცინავს, ამოუკითხავს ის ვნებები, კარგად მის სკულპტორს, რომლებსაც, დღემდე, უსიცოცხლო ნივთებზე ძინავთ." ხელმა და გულმა რომ დასცინეს, რომ გამოკვებეს, შერჩენილია ეს სიტყვები ახლა, კვარცხლბეკზე: „ეს, მე ვარ, ოზიმანდიასი, მეფეთა მეფედ; შეხედეთ ამ ჩემს ნამოქმედარს, დღე, შიშით ჰყვოდეთ!“ ისმის სისინი ნანგრევებში ქარის ეულის, ქვიშას შემორჩა, მხოლოდ, ნაშთი მავზოლეუმის.

(პერსი ბიში შელლი) სიკვდილი

აქაც, სიკვდილი, სიკვდილი --იქაც, იგი სავესა, მინითაც, ცითაც. შიგნით და დაბლა, მალაც, ირგვლივაც, სიკვდილები ვართ, თავად, ვინც კი ვართ. სიკვდილი, ბეჭედს და დამლას ასვამს ყველაფერს, რაც ვართ, შევიგრძნობთ რასაც რაც აფრთხობს მასაც, ნუთსაც და წამსაც. ჯერ მოგვიკვდება შევბაც და დროცა, იმედიც, შიშიც, და მერე როცა კვდება ყველა, რომ აღსრულდეს ვალი, მტვერი მტვერს სპობს და ჩვენცა ვართ მკვდარი. რაც გვიყვარს და რაც ძვირფასი არის, ჩვენსავით ქრება, წარიტანს ქარი. თუკი, ჩვენ გვერგო სიკვდილის - ბედი, სიყვარულო, ხსნას, შენ რას შესძლებდი?

(არტურ რემბო) განცდა

ბილიკებზე ზაფხული ლურჯ ღამეებს მიდენის, ჩამომკანრეს თავთავებმა, ვთელავ ლორთქო ბალახებს მეოცნებემ, ტერფებთან სიგრილე შევიგრძენი, შიშველ შუბლზე ქარი მცემს, თითებით თმას არხვეს. უკვე, აღარას ვამბობ, არც რამე მიფიქრია სიყვარული სულში უკვდავებას მიფენს, როგორც ბომა, შორად შორს, ავედევნე ნიავს, ჩავეხუტე ბალახებს, გოცონი, ვით ქალის მკერდს.

(არტურ რემბო) ოფელია

მშვიდ, მუქ ტალღაზე, სად ვარსკვლავი ციმციმებს აფრქვევს, როგორც შროშანი თეთრი, წყალზე წევს ოფელია. ტალღა რონინით მიაცურებს უსუსურ მკლავებს... - შორეულ ტყეებს ფერიები შემოჰფენიათ. ჩანს, ოფელიას სევდა ათასწლებმაც კი, ზიდეს, თეთრი ფანტომი - ხეობებში, მდინარით შავით, ათას წელზე მეტს ითვლის მისი ტკბილი სიგიჟე, ცრემლიან რომანსს ჩასჩურჩულებს ღამის ნიავი. მკერდს კოცნის ქარი, ჩამხოხილი თაიგულებში, უკოცნის მკლავებს და დალალებს ტალღებზე გაშლილს, თან დასტირიან ტირიფები სუსტ მხრებზე შემოილს მეოცნებე შუბლს ქედს უხრიან ლერწმები ქარში ჩუმად კვენსიან დასრესილი წყლის შროშანები თანაც, დროდადრო აღვიძებენ თხმელას მძინარეს სადაც ბუდიდან ჩიტების ფრთის ისმის ჩქამები - ვარსკვლავებს შორის იდუმალი მღერა ივანებს

II

ოი, ფერმკრთალო ოფელია! სადარო თოვლის, სიკვდილმა, ნორჩი, გაგიტაცა ჩემ მდინარემდი, - ეს ქარებია, ნორვეგიის მთებიდან რომ ქრის თავისუფლების მწარე ხვედრზე რომ ჩურჩულებდი.

ამოსუნთქვავა, აბრეშუმის თმათა გრებილი, მეოცნებე გონს სხვა სიმებმა ჩამოჰკრეს მამინ შენს გულს მოვესმა მელოდია ასეთი ტკბილი ტყის ოხვრაში და ღამეების ამოკვენსაში; ისმის ბობოქარ ზღვების ხმები, ყალყზე შემდგარის, სული გატკინა უცოდველს და შენ ჩვილს უხლებელს. ეს ხომ აპრილის დილა არის, ვინაც მხედარი ფერმკრთალი, შლეგი, უხმოდ დასცა შენსინი მუხლებზე.. ცა, სიყვარული - სიზმარია საბრალო გიჟო, ვით თეთრი თოვლი, შეერიე ცეცხლის ალებში. ციური ხილვა მინიერმა ყოფამ დაგიხმო, და უსასრულო შიში გიკრთის ცისფერ თვალებში.

III

და თქვა პოეტმა: ცა ვარსკვლავით როს დაიფარა, და ყვავილების დაბრძანების დადგა, როს ჟამი, მან დაინახა წყალის ტალღაზე თეთრი სუდარა ზედ, მოტივტივე ოფელია, როგორც შროშანი.

თარგმნა ფისო ნაერო ზაშვილიძე



სარგაი ესენი

არც ვნანობ რამეს, არც გიხმობ და არც ვიცრემლები, ნავა ყოველი, ვით ვაშლის ხის თეთრი ფიფქები, შემეპარება გარდუვალი ჭკნობა ფარული, მე ახალგაზრდა აღარ ვიქნები.

შენ, ჩემო გულო, ძველ სურვილებს ველარ ავყვები, რადგან დამზრალა ჩვენი დროის ნილი ყვავილი და ამ მიწაზე, გადაპენტილ თეთრი არყებით, მე ფეხშიშველა ველარ გავივლი.

მშფოთვარე სულო, რაც დრო გადის, ბორგავ ნაკლებად, ველარ აღვიმებ ჩამქრალ ვნებებს ჩვეულ ანცობით, ჩანავლდა მზერა ჟინიანი, გრძნობა ნამლეკი, მივტირი დღეებს ყმანვილკაცობის.

მე სურვილებშიც, ვატყობ, გავხდი უკვე მომჭირნე, ცხადი იყო თუ ჩამითრია სიზმრის მორევმა, თითქოს ერთ დილას ვარდისფერი ცხენის ჭენებით გადავიქროლე მთელი ცხოვრება.

ჩვენ, ამ ქვეყნიდან წარმავალებს, ვერვინ დაგვიცავს, ინყება ფოთლის, ნეკერჩხლიდან ცვენა ფარული, კურთხეულ იყოს საუკუნოდ დედამიწაზე აყვავილება და აღსასრულიც!

მოუნყენიათ ამ უღრანებსაც, ველარ ლაღობენ სიცოცხლის ფერით, წეროები კი დაუნანებლად მიფრენენ, სადაც არავინ ელით.

ან რად ინანონ, როს ყველა მგზავრი მიდის და უკან ბრუნდება ბოლოს, წეროები კი მთვარიან ღამით მოაგონდებათ ველ-მინდვრებს მხოლოდ.

ვდგავარ ბაღში და არავინ მახლავს, წეროები კი სერავენ ღამეს, წარსულზე ფიქრით სავსე ვარ ახლა და არც მე ვნანობ ამჟამად რამეს.

ჩავლილ დღეებზე დარდი არ ვიცი, ყვავილთა სურნელს იოლადავთმობ, ცირცელი ბაღში უცეცხლოდ ინვის, ინვის ცირცელი, თუმცა არ მათბობს.

ბოლომდე მაინც არ დაინვება და ვერც სიყვითლე გააქრობს

რა სევდაცა სდევს ფოთოლთა ცვენას,

ამ ჩემს ლექსებსაც ის სევდა ახლავს...

და თუ ნამლეკი დროის მორევი ჩაითრევს ყველას დაუნანებლად, იტყვიან მაშინ სევდამორევით, ჩაიყვავილეს ამ უღრანებმაც.

სიმღერა კალღა

ჭვავის საბძელში დილაადრიან, ოქროში ნავლებ ჭილოფებს უკან, შვიდი წითური ლეკვი დაყარა, შვიდი წითური დაყარა ძუქნამ.

სულ სათითაოდ გალოკა ყველა აღსავსემ მათზე ზრუნვით და

ფიქრით, მინანქარებდა მუცლის ქვეშ ნელა მისი სითბოთი გამლღვალი ფიფქი.

გვიან კი, როცა ბინდი ბატონობს, თითქოს დუმილი დგას საუკუნო, ტომრით პირქუში მოდის პატრონი და მცივან ლეკვებს შიგ ყრის

უგულოდ.

უკან მოჰყვება ძალი სანყალი, გაყურსულია მიდამო თეთრად და მერე ცოდვას მღელვარე წყალი გაინანილებს პატრონთან ერთად.

ბრუნდება მარტო ძალი ნაღველით, ძლივს მოლასლასებს, თითქოს დამძიმდა

და მხოლოდ მთვარე ყოვლისმნახველი ღამეულ ციდან ეტყვის სამძიმარს.

ახედავს ზეცას მაღლა წკმუტუნით, შეუყვფს მნათობს, ლეკვს რომ აგონებს, დედის წუხილით გულდათუთქული მიეფერება მთვარე მთა-გორებს.

ძალი კვლავ თავის გაჩენას წყველის, განბილებული ჩუმად წკავნკავებს, მერე კი ორი ობოლი ცრემლი ვარსკვლავებით სწყდება ნამნამებს.

ქ რ მ ხ ა

წლების სიმრავლე ატყვია რქებზე კბილებდაცვეთილს და უკვე

ბეხრეკს, ახლაც კი ესმის შოლტის ტლაშუნი, გამეტებით რომ უქნევდა მეხრე.

აკრთობს ყოველი ფაჩუნი, ჩქამი, თავის წრიბინიც, მგონი, აშინებს და დასტრიალებს ფიქრებით ღამით თავის თეთრფეხა, ღამაზ ნაშიერს.

დიდი ხნით როდი დაუთმეს შვილი, ბედნიერება არგუნეს წამით და აქანავდა სარზე, ვით ჩრდილი მისი ნაშობის გამხმარი ტყავი.

სულ მალე ძროხის დადგება ჯერი, თოკს შეაბამენ იქვე, კალოზე და უდღეური შვილივით მერე წინ გაიგდებენ სასაკლაოზე.

ჩაეჭიდება ბებერი რქებით მინას, განწირულ უტყვის გოდებით, ჯერ კი სიზმრებში ისევ ფეთქავენ აყვავებული მთა და კორდები.

წერილი დედას

ხომ კარგად ხარ, ძვირფასო დედა! მე შენზე ფიქრი სხვაგვარად მათბობს,

ვიცი, დღედაღამ თანა გდევს სევდა და მუდამ ჩემთან შეხვედრას ნატრობ.

მწერენ, მიხსენებ ისევ წუხილით, შენ ჩემზე დარდი განევს ლოდივით და ძველმანებში გამოწყობილი გაჰყურებ შარას კვლავ მოლოდინით.

საშინელ სიზმარს ხედავ ბურანში ერთ და იმავეს, ყოველღამ თანაც, უაზრო ჩხუბში, სადღაც დუქანში შენს უბედურ შვილს უყრიან დანას.

ნუ შეგანუხებს შენ ჩემი ბედი, ეს არ მომხდარა, არც უნდა მოხდეს! მე არც ისეთი ლოთი ვარ, დედი, შენს უნახავად შემეძლოს მოკვდე!

იქნებ შიშობ, რომ გამოვიცვალე, მიყვარხარ ძლიერ, კვლავ ძველებურად...

შენ იცი მხოლოდ, როგორ ვინვალე და ჩემს სულს ისევ რა ნისლიც ბურავს.

მე მოვალ მაშინ, როცა ალუბლებს დაასკდებიან კვირტები თეთრად, როს მიწა კარებს ფართოდ გაულებს სითბოს და გულიც სხვაგვარად ფეთქავს!

ნუ შეეხები, დედი, იცოდე, მოუშუშებელ ჯერაც იარებს, ნუ გამახსენებ, როგორ ინვოდა სული და რა გზაც გამოვიარე.

ცუდ მოგონებებს სულ დავივიწყებ, მძიმე ფიქრისთვის არც მიმეტებდი, ახლა სიცოცხლეს თავიდან ვინყებ, შენა ხარ ჩემი ხსნაც და იმედიც.

ნუ მომიგონებ, დედი, წუხილით, ნუ განევს დარდი ჩემზე ლოდივით და ძველმანებში გამოწყობილი შარას ნუ გასცქერ კვლავ მოლოდინით.

თარგმნა გულიკო პირველმა

იებიც



მაკა ჯოხაძე

საიუბილეო თარიღი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მაკა შუბუს ასულ ჯოხაძეს.

ქალბატონო მაკა! ჩვენო ძვირფასო თანამოქალაქე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის გამორჩეულად მნიშვნელოვან და საყურადღებო წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების დღეს.



გური ოტობაია - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გური მიხეილის ძე ოტობაია (ფეტელიძე).

ჩვენო ყოფილი ბატონო გური! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთბილად და მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.



დავით შემოქმედელი - 70

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით შემოქმედელი (დავით ივანეს ძე ტაყაიძე).

ჩვენო ერთგული კოლეგა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთბილად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ აღიარებულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.



მირონ ხერგიანი - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მირონ ბუჯას ძე ხერგიანი.

ჩვენო ძვირფასო ბატონო მირონ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, პიროვნებას, მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი და ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო საზოგადოება „გულთა კავშირი“ ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს

1) „რუსთაველის დღე (პოეზიის დღესასწაული)“ ჯემალ აჯიბაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო პოეტური თარგმანი;
2. საუკეთესო პროზაული თარგმანი;
3. საუკეთესო პოეტური ნაწარმოებები;
4. საუკეთესო პროზაული ნაწარმოებები.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება 1250 ლარის ოდენობით.

ასევე ცხადდება:

2. კონკურსი გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად პროზა-პოეზიაში - 1000-1000 ლარის ოდენობით (მხარდამჭერი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი).
3. კონკურსი დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია „ძლევაი საკვირველი“-ს მოსაპოვებლად პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებისათვის - სამ ნომინაციაში:
 1. გრან-პრი - რჩეული იუბილარი - 1000 ლარი და ოქროს მედალი;
 2. პროზაში - 1000 ლარის ოდენობით;
 3. პოეზიაში - 1000 ლარის ოდენობით.
 (მხარდამჭერი ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაცია, მარნეულის, გარდაბნისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტები).

(რჩეული იუბილარის კანდიდატურის წარმოდგენა შეუძლიათ გამომცემლობებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებს).

გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება 2023 წლის 15 მაისს, პოეზიის დღეს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ლიტერატურული ნაწარმოებები არ უნდა აღემატებოდეს: პოეზიაში 5 გვერდს, პროზაში - 20 გვერდს.

აუცილებლად მიუთითეთ კონკრეტულად რომელ კონკურსსა და ნომინაციაში იღებთ მონაწილეობას, ასევე დაურთეთ თქვენი ავტობიოგრაფია და საკონტაქტო ნომერი.

მასალები მიიღება 2023 წლის 2 მაისამდე ელექტრონულ მისამართზე: writersunionofgeorgia@gmail.com

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების დრო და ადგილი გამოქვეყნდება ჩვენს ფეხვებზე.

საკონტაქტო პირი - მაია კვანტალიანი
ტელეფონის 555 564 454



მთვარისა კერესელიძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და კულტურამ სამწახარო დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მთვარისა დავითის ასული კერესელიძე.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა შემოქმედი, რომელიც მთელი მისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, რომელსაც არასოდეს უღალატია იმ წმიდათაწმინდა სამებისთვის, რომელსაც მამული, ენა და სარწმუნეობა ჰქვია...

მთვარისა კერესელიძე დაიბადა 1942 წლის 20 ივლისს აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1961 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1966 წელს დაასრულა.

უმალესი განათლების მიღების შემდეგ მთვარისა კერესელიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „სახალხო განათლების“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ... დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი იყო გაზეთ „პოეზიისა“. დააარსა და ხელმძღვანელობდა შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნებას“, არჩეული იყო საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის პრეზიდიუმში და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად. ძალიან დიდხანს ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას. ყველგან, სადაც კი იმუშავა,

ყველგან პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ყველას უშურველად უზიარებდა საკუთარი გულის სიტბოს და სიკეთეს.

მთვარისა კერესელიძის ლიტერატურული დებიუტი 1963 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „მე დავიბადე ივლისის თვეში“. მას შემდეგ მთელი ეპოქა გავიდა, შეიცვალა ფორმაციები, მაგრამ არ შეცვლილა ამ მშვენიერი პოეტის კრედი - მთელი არსებით ყოფილიყო მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურში, მთელი შემოქმედება მიუძღვნა მისი ანმესა და მომავლისათვის.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდ დაინტერესებას იჩენდა მთვარისა კერესელიძის პოეზიისადმი. მისი პოეტური კრებულების („სათავე“, „ჭრელი გაზაფხული“, „ოლონდ ისმინე“, „ფრესკის ლაღადი“, „მოგონება“, „პოეზია“, „დუმილის შემდეგ“, „ნავგლეკა მტერმა მოყვრულად“, „თუკი დღეს გადარჩა საქართველო“, „ასი ლექსი“) ლირიკული გმირი ხან ბერი თევდორე იყო, ხან პაატა სააკაძე, ხანაც ცოტნე დადიანი, იმ ქვეყნის შვილი, სადაც სიმღერით კვდებიან და სიმღერით ცოცხლდებიან, სიმღერით ამარცხებენ სიკვდილს, მტერს არასოდეს ნებდებიან და უსასრულობის უკიდვე განობისკენ მიისწრაფვიან. იქ, სადაც ქარები ღრუბლებში აჭირილი მოლივლივ ხობილებს აფრებს აპრილებს...

მთვარისა კერესელიძის ლექსები ითარგმნა უკრაინულ, ყაზახურ, ავარულ, რუსულ ენებზე.

იგი არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტიური სტატიისა და ნოველის ავტორი იყო.

მთვარისა კერესელიძის მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძის, მარიკა ბარათაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის სახელობის, გაზეთ „ივერიის“ პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტიკისა და ქართული კულტურის ამავდარის საპატიო ნოდებები.

წავიდა ჩვენგან ღვანლმოსილი მხცოვანი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, რომლის სახება, სახება სამშობლოს სამსახურში ბოლომდე დახარჯული ბანოვანისა დიდხანს დარჩება მისი თნამოკალმეებისა და თავყვანისმცემლების ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სოფო ებრაღიძე

მხოლოდ ვნე ერთი ხარ

ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს - ილია II-ს

ჩვენო წინამძღოლო, მტრისგან გადალლილო, კეთილ სამოსელში - დიდი სულის მქონო, ბაგეთ სიმშვიდის და გულის ღვთაებრივის, ქვეყნის მთლიანობის დიდო საძირკველო...

ბრძენო სულისაო, მართლმადიდებელო, კეთილ-გონიერო, საქმის მკეთებელო... ჩვენი ქვეყნის გულო, ქართველთ-მწიგნებელო, ყველას მოყვარულო, ერის გადამრჩენო...

ნაყოფის საძირკველის გულის ჩამდგმელო და ჩვენი წინაპრების ლოცვის აღმდგენელო... ჩვენთვის ტანჯულო და მუდამ დამლოცველო, მხოლოდ ნმიდა გულით საქმის მკეთებელო...

მხოლოდ შენზე ითქმის, უყვარს საქართველო! მხოლოდ შენზე ითქმის, ვნის საქართველო! მხოლოდ შენ ერთი ხარ, ვინც არ დაიშურებს, ბრძნული ქმედებებით - მტერსაც განგვაშორებს...

მხოლოდ შენ ერთი ხარ, ვისაც გულით უნდა, ქვეყანა გათლიანდეს, ყველას ღმერთი გვენამდეს... მხოლოდ შენ ერთი ხარ - ვინც ფიქრობს ათასზე, მუდამ ფხიზლად არის სამშობლოს მიწაზე...

შენ ხარ მშენებელი ჩვენი ტაძრების და შენგან მუდამ ისმის - უფალო, შეგვიწყალებ... მხოლოდ შენ ერთი ხარ ჩვენი ნუგეში და მწყემსი ჩვენი ერის - ვინც უნდა გვიყვარდეს...

ჩვენო წინამძღოლო, მტრისგან გადალლილო, კეთილ სამოსელში - დიდი სულის მქონო... მხოლოდ შენს ნუგეშს გრძნობს მთელი საქართველო, ჩვენი უწმინდესო, ჩვენი გადამრჩენო...

ვახო გურამიშვილი


გაზაფხულის მოსვლა

გაყვავილდა მთა და ველი, კვლავ დაგვიდგა გაზაფხული, ტყეში მირბის ახლაც შველი, ალბათ არის დაზაფრული. მზე ანათებს მაღლა ცაზე, ყველას უნდა ნეტარება, ხორბალს ვეთესვ ნიადაგზე, ჩამიწვივ მეწატრება. ფერდობებზეც ბღავის ცხვარი, მე შევნირო მინდა ტაძრებს, არ ვარ მწყემსი უებარი, არ მივყვები ნიავექარებს. ზოგჯერ ჩანდა ცისარტყელა, ახლაც ისევ მაისია, მე მინდოდა ყველას შეველა, გულშიც ისევ აისია. ახლა ვდგავარ ხელგაშლილი ველოდები ღამის მთვარეს, გული მიყვარს გადამლილი, მეც დავლოცავ არე-მარეს.

რუბრიკა - შხალესი სკოლა

გამოდის პირველად

თანამედროვე სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია შეჯიბრებითობის პრინციპი. ბრალმდებელი და დამცველი ერთმანეთს ეპაექრებიან და ცდილობენ თავიანთი სიმართლე ამ გზით გაიტანონ. ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საქმის სამართლებრივი ფაქტებისა და მასალების ფლობას, არამედ საკუთარი პოზიციის მარჯვედ წარმოსაჩენად სიტყვიერი მარაგის სიფხვეს, ორატორულ წრთობას. არადა დღემდე არ არსებობდა არავითარი საამრიგო სახელმძღვანელო, ნიგნი, რომლის მიხედვითაც იურისტი თავის სამჭევრმეტყველო უნარს გაიძლიერებდა, მოსამართლის წინაშე დამარწმუნებლად იმსჯელებდა. იურისტთა განათლების გზაზე არსებული ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე იზრუნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ. სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა, მომზადებულიყო სასწავლო ნიგნი-ქრესტომათია, რომელშიც სასამართლო და დიპლომატიური მჭევრობის შედეგებიც შევიდოდა და მათი სათანადო კომენტარებიც, ასევე თავისი ადგილი დაეთმოზოდა სამეცნიერო აპარატს: სამეტყველო ქცევას, მეტყველების სამკაულებს, კომუნიკაციის ისტორიას; საგანგებოდ იქნებოდა გარჩეული სამი კოლხი ორატორის ბრწყინვალე გამოსვლები; საგანგებოდ ყურადღება მიექცეოდა შესავალი და დასკვნითი სიტყვის მეთოდოკას; დიდად ნაადგება საქმეს ისიც, რომ ფოლიანტს ერთვის საორატორო ლექსიკონი, პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საუბარი და ფიგურული სიტყვა-თქმანი.



პოლიტიკური და სამართლის მჭევრმეტყველების სანიმუშო მასალები გულმოდგინებით შეირჩა და ენობრივ-სტილისტურად საგანგებოდ დაიხვეწა. ამ ტიპის ქრესტომათიული ნაშრომი პირველად გამოდის. მისი საერთო რედაქტორია აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი. ნიგნზე მუშაობდნენ პროფესორები: ირაკლი გაბისონია, ვაჟა პაპასკირი, ჯემალ გაბელია, მურმან თავდიშვილი, დავით ხუფენია. იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტებს მართლაც რომ დიდებული საჩუქარი ელირსათ. ახლა მათ შეუძლიათ უკეთ გაშალონ თავიანთი სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობა.

გურამ ნიკოლაური მურმან თავდიშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ჟურნალისტი

ჯამალტ სუსაშვილი
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერლის ტარიელ ზოზრაშვილის მეუღლე

ნელი ქრეშაძე
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერლის ნანა დარჩიაშვილის შვილი

ზაზა ზაქარაიშვილი
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

მისამართი: ბაჩალიაძის ქუჩა, №15 პოპოვა სასოფლო, თბილ. 293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
პასუხისმგებელი მდივანი

სოსო სიგუა
რევაზ მიშველაძე
მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; sososigua@yahoo.com

9 771987 698009